

220 წელი შესრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღებიდან. აქ წარმოდგენილია ამერიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის ჯონ მარშალის 1803 წლის პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე „მარბერი მედისონის წინააღმდეგ“, რომელმაც საფუძველი დაუდო საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას. თუმცა, მის შესახებ იდეა ჯერ კიდევ 1795 წელს პროექტის სახით წარმოადგინა ფრანგმა განმანათლებელმა ემანუელ სიესმა საფრანგეთის დამფუძნებელი კრების წინაშე.

სიესის პროექტი და ჯონ მარშალის გადაწყვეტილება პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.



ადვ. სიყვ

ეგნულ-ჟოზეფ სიესი

საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის შესახებ

ემანუელ-ჟოზეფ სიესის (აბე სიესი) პროექტი შეტანილ იქნა 1795 წლის
 2 თერმიდორს (20 ივლისი). ეს საკითხი განხილულ იქნა
 18 თერმიდორს (5 აგვისტო).

- მუხლი I.** „საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის“ სახელწოდებით ეს ორგანო იქმნება როგორც კონსტიტუციის დამცველი.
- მუხლი II.** მისი შემადგენლობა, რომელიც ყოველწლიურად განახლდება ერთი მესამედით და საკანონმდებლო ასამბლეის პარალელურად, მოიცავს 108 წევრს.
- მუხლი III.** ამ მესამედის (ანუ ოცდათექვსმეტი კანდიდატის) არჩევა ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის ხელმძღვანელობით (რომელიც მათ ირჩევს) ორას ორმოცდაათი წევრიდან, რომლებიც ერთდროულად ტოვებენ ორივე საბჭოს.
- მუხლი IV.** პირველ საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიას ირჩევს კონვენტი ფარული კენჭისყრით ისე, რომ მისი წევრების ერთი მესამედი შეირჩევა ეროვნული ასამბლეიდან, მეორე მესამედი – საკანონმდებლო ასამბლეიდან და ბოლო მესამედი – კონვენტიდან.
- მუხლი V.** საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის სხდომები საჯარო არ არის.
- მუხლი VI.** საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიას გამოაქვს გადაწყვეტილებები იმ არაკონსტიტუციური აქტების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ერთ-ერთი შემდეგი სახელმწიფო ორგანოს მიერ: უხუცესთა საბჭო, ხუთასთა საბჭო, საარჩევნო კრება, უმაღლესი კრება თუ საკასაციო სასამართლო.
- საჩივარი შეიძლება შეიტანოს უხუცესთა საბჭომ, ხუთასთა საბჭომ ან ნებისმიერმა მოქალაქემ საკუთარი ინიციატივით.
- ანალოგიურად, ის იღებს გადაწყვეტილებებს უმცირესობის მიერ უმრავლესობის წინააღმდეგ რომელიმე ზემოხსენებულ სახელმწიფო ორგანოში შეტანილი საჩივრების შესახებ.
- მუხლი VII.** საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებებს ეწოდება „გადაწყვეტილება“.



მუხლი VIII. აქტები, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგია აცხადებს არაკონსტიტუციურად, კარგავს ძალას და იმთავითვე ბათილია.

მუხლი IX. თუ არაკონსტიტუციურად მიჩნეული აქტები შედეგია მითითებებთან დაკავშირებული ქმედებებისა ან დაკავშირებულია მათთან, საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიას შეუძლია საჩივარი გადააგზავნოს კომპეტენტურ სასამართლოებში მითითებით, რომ გამოიძიონ მათი არაკონსტიტუციურობის საკითხი გადაწყვეტილების გამოტანამდე ან მის შემდეგ.

მუხლი X. საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგია მუდმივად განიხილავს წინადადებებს, რომლებსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის გაუმჯობესების მიზნით. უმრავლესობის აზრი, ჩამოყალიბების შემდეგ, შეტანილი იქნება სპეციალურ კრებულში.

მუხლი XI. დაწყებული 1800 წლიდან – რესპუბლიკის მერვე და რევოლუციის მეთორმეტე წელი – ყოველ მეათე წელს საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგია ხელახლა განიხილავს თავის კრებულში ჩამოთვლილ მოსაზრებებს. ის შეიმუშავებს „რეზოლუციის პროექტს“ საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ და თანამდებობის მიხედვით წარუდგენს უხუცესთა საბჭოსა და ხუთასთა საბჭოს, რათა მან შეძლებისდაგვარად ფართო გავრცელება ჰპოვოს. ეს უნდა გაკეთდეს ყოველწლიურად ჩასატარებელ პრაიმერიზამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე.

მუხლი XII. „რეზოლუციის პროექტის“ გაცნობის შემდეგ პრაიმერიზი კენჭისყრით – *მომხრე ან წინააღმდეგი* – გადაწყვეტს, გადასცეს თუ არა უხუცესთა საბჭოს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები პროექტის შესახებ. თუ პრაიმერიზის უმრავლესობა *უარს განაცხადებს, პროექტი* არშემდგარად ჩაითვლება და (მასში თავმოყრილი) წინადადებები არ შეიძლება ხელახლა იქნეს წარდგენილი მომდევნო ათი წლის განმავლობაში. თუ პრაიმერიზის უმრავლესობა *მომხრეა*, მაშინ დამფუძნებელი უფლებამოსილება გადაეცემა უხუცესთა საბჭოს, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები წარდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით, რომელთა შეცვლა ან სხვა წინადადებებით ჩანაცვლება მას არ შეუძლია.

მუხლი XIII. სხდომები, რომლებზეც უხუცესთა საბჭო ახორციელებს დამფუძნებელ უფლებამოსილებას, იმართება მხოლოდ ამ მიზნით. სულ შესაძლებელია არაუმეტეს თორმეტი ასეთი სხდომის ჩატარება, ხოლო

დეკადაში¹ – არაუმეტეს ორისა. დამფუძნებელი ხელისუფლების სხდომების ცალკეული ოქმები იწარმოება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც საბოლოოდ საზეიმოდ ინახება საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის არქივში.

მუხლი XIV. ყოველწლიურად საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის წევრთა სულ მცირე მეთედი, კენჭისყრით აირჩევა „სამართლიანი იურისდიქციის კომიტეტის“ შესაქმნელად. ამ პალატამ, წინა ორი უფლებამოსილების გარდა, ექსკლუზიურად უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილებები სხვადასხვა სასამართლოს მიერ მისთვის წარდგენილი ოფიციალური შუამდგომლობების შესახებ. მან უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება *სამართლიანობის პრინციპის* საფუძველზე იმ საქმეებში, რომლებზეც შესაბამისმა მოსამართლეებმა ან ვერ შეძლეს საქმის გადაწყვეტა მოქმედი კანონის არარსებობის გამო, ან უნდა მიეღოთ თავიანთ სინდისთან შეუთავსებელი გადაწყვეტილება, თუ კანონის ტექსტს მიჰყვებოდნენ.

მუხლი XV. *სამართლიანობის პრინციპის* საფუძველზე გადაწყვეტილება გამოაქვს საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგიის მოთხოვნით ან შუამდგომლობის შემტან სასამართლოს, ან სხვა სასამართლოს.

მუხლი XVI. სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება გადაეცემა ხუთასთა საბჭოს თანამდებობის მიხედვით, ერთი თვის ვადაში.

მუხლი XVII. საკონსტიტუციო სასამართლო კოლეგია არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება.

Emmanuel Joseph Sieyes. Was ist der Dritte Stand? Ausgewählte Schriften. Herausgegeben von Oliver W. Lembcke und Florian Weber. Berlin. 2010.

1. ისტ. საფრანგეთში (დიდი რევოლუციის დროს): რესპუბლიკური კალენდრის ათდღიანი კვირა.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=10020>



James

ჯონ მარშალი

უილიამ მარბარი შაერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯიშს მელისონის წინააღმდეგ

მარბარი მელისონის წინააღმდეგ ამერიკის შაერთებული შტატების უზენაესი სასამართლო

5 U.S. 137; 2 L. Ed. 60; 1 Cranch 137

1803 წლის თებერვლის სესია

წინასტორია: ბოლო სესიაზე, სახელდობრ, 1801 წლის დეკემბრის სესიაზე, უილიამ მარბერიმ, დენის რამსიმ, რობერტ თაუნსენდ ჰუმ და უილიამ ჰარპერმა, რომლებსაც წარმოადგენდა მათი ადვოკატი ჩარლზ ლი, შეერთებული შტატების ყოფილი გენერალური პროკურორი, ინდივიდუალურად მიმართეს სასამართლოს შუამდგომლობით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯეიმს მედისონის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რათა მას წარმოედგინა მოსაზრებები, თუ რატომ არ უნდა გაცემულიყო მანდამუსი (სასამართლოს ბრძანება ქვემდგომი სასამართლოსადმი ან თანამდებობის პირისადმი), რომლითაც სასამართლო მას დაავალდებულებდა მოსარჩელებისთვის კოლუმბიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეებად განწესების სიგელების გაცემას. აღნიშნული შუამდგომლობა გამყარებული იყო შემდეგი ფაქტებით: რომ შეტყობინება ამ შუამდგომლობის შესახებ გაეგზავნა ბ-ნ მედისონს; რომ ბ-ნმა ადამსმა, შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა, მოსარჩელების კანდიდატურები წარუდგინა სენატს, რათა მათ განწესებაზე კოლუმბიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეებად მიეღო სენატის რჩევა და თანხმობა; რომ სენატმა გასცა რჩევა და თანხმობა მათ განწესებაზე; რომ რწმუნებათა სიგელებს სათანადო წესით ხელი მოაწერა ზემოხსენებულმა პრეზიდენტმა, რომელიც ნიშნავდა მათ მოსამართლეებად და რომ სახელმწიფო მდივანმა ზემოაღნიშნულ რწმუნებათა სიგელებზე სათანადო წესით დასვა ბეჭედი; რომ მოსარჩელებმა ბ-ნ მედისონს მიმართეს თხოვნით, გადმოეცა მათთვის აღნიშნული სიგელები, რომელმაც მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა; და რომ მათ უარი ეთქვათ ზემოაღნიშნულ რწმუნებათა სიგელებზე; რომ მოსარჩელებმა მიმართეს ბ-ნ მედისონს ინფორმაციის მისაღებად იმასთან დაკავშირებით, მოეწერა თუ არა ხელი და დაისვა თუ არა ბეჭედი რწმუნებათა სიგელებზე შესაბამისი წესით, როგორც



ზემოთ იქნა აღნიშნული; რომ ამ შეკითხვის საპასუხოდ არ იქნა გაცემული მკაფიო და დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია არც სახელმწიფო მდივნის და არც სახელმწიფო დეპარტამენტის რომელიმე მოხელის მიერ; რომ სენატის მდივნის სახელზე წარდგენილ იქნა განცხადება მოსარჩელეების კანდიდატურების დასახელების, აგრეთვე სენატის მიერ გაცემული რჩევისა და თანხმობის, დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, რომელმაც უარი განაცხადა ასეთი დოკუმენტის გაცემაზე; რის შედეგადაც ამ სესიის მე-4 დღეს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოსარჩელების წარმოდგენის შესახებ. ეს გადაწყვეტილება სათანადო წესით ჩაჰბარდა ადრესატს.

გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი:

სასამართლო სხდომის მდივნის შენიშვნები

შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, გასცეს მანდამუსი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიმართ, ვინაიდან აღნიშნული წარმოდგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციის სფეროს, რაც კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის. კონგრესს არ გააჩნია უფლებამოსილება, პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია მიანიჭოს უზენაეს სასამართლოს სხვა შემთხვევაში, გარდა კონსტიტუციაში აღწერილისა. *კონგრესის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კანონი ვერ გახდება.* შეერთებული შტატების სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ კონსტიტუცია. რწმუნებათა სიგელი არ არის საჭირო აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თანამდებობის პირის დანიშვნის შემთხვევაში – Semb. რწმუნებათა სიგელი მხოლოდ დანიშვნის მტკიცებულებას წარმოადგენს.


გადაცემა არ არის აუცილებელი წყალობის სიგელის ნამდვილად მიჩნევისათვის. პრეზიდენტი სახელმწიფო მდივანს ვერ მისცემს უფლებას, არ შეასრულოს ის მოვალეობები, რომლებიც მას კანონით ეკისრება.

კოლუმბიის ოლქში მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება პრეზიდენტის ნებით არ ხდება. როდესაც იმ პირის რწმუნებათა სიგელი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნაც არ ხდება პრეზიდენტის ნებით, მის მიერ ხელმოწერილია და გაგზავნილია სახელმწიფო მდივნისთვის ბეჭდის დასასმელად და რეგისტრაციაში გასატარებლად, შეუქცევადია. დანიშვნის პროცედურა დასრულებულია.


მანდამუსი არის სათანადო საშუალება, რომელიც სახელმწიფო მდივანს დაავალდებულებს, გადასცეს რწმუნებათა სიგელი, რომლის მიღების უფლებაც აქვს მხარეს.

ადვოკატი: ამ ბრძანების მხარდასაჭერად ბატონმა ლიმ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა საფუძვლით იკავებს თანამდებობას კოლუმბიის ოლქის მომრიგებელი მოსამართლე და რა პროცედურებია საჭირო იმ თანამდებობის დასაკავებლად რომელზეც დანიშვნა არ ხდება პრეზიდენტის ნებით. როგორც ცნობილიც არ უნდა იყოს ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა ეს გადაწყვეტილება, მოსარჩელები დიდ სირთულეებს წააწყდნენ მათი დამამტკიცებელი საბუთების მიღების პროცესში. გონივრული ინფორმაციის გაცემაზე მათ უარი ეთქვათ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფისში. მიუხედავად იმისა, რომ სენატს პატივისცემით წარედგინა პეტიცია, რომლითაც ეთხოვა, მისი მდივნისთვის მიეცა უფლება, რომ გაეცა ამონაწერები აღმასრულებელი ხელისუფლების ჟურნალებიდან სენატისთვის მოსარჩელების კანდიდატურების წარდგენის შესახებ, აგრეთვე მათ დანიშვნასთან დაკავშირებით სენატის მიერ გაცემული რჩევისა და თანხმობის შესახებ, სენატმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა, ხოლო პეტიციის მიღებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, ისინი იძულებული გახდნენ, სასამართლოში გამოემართათ ის მოწმეები, რომლებისგანაც ნებაყოფლობითი წერილობითი ჩვენებები ვერ მოიპოვეს. ბ-ნმა ლიმ წაიკითხა დენის რამსის წერილობითი ჩვენება და სენატის 1803 წლის 31 იანვრის ბეჭდური ჟურნალები, რომლებიც ეხებოდა სენატის უარს, თავისი მდივნისთვის მიეცა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის უფლება. შემდეგ მან მოუხმო ჯეიკობ ვაგნერსა და დანიელ ბრენტს, რომლებიც სასამართლო სხდომაზე დასასწრებად იყვნენ გამოძახებულნი და რომლებმაც, როგორც ირკვევა, უარი განაცხადეს ნებაყოფლობითი წერილობითი ჩვენების მიცემაზე. მათ უარი თქვეს ფიცის დადებაზე, ამტკიცებდნენ რა, რომ ისინი იყვნენ სახელმწიფო დეპარტამენტის კლერკები და არ იყვნენ ვალდებულნი, გაემჟღავნებინათ რაიმე ფაქტი დეპარტამენტის ოფისში მიმდინარე საქმიანობასთან ან გარიგებებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ლიმ აღნიშნა, რომ აღნიშნული მოწმეების დაკითხვის მიზანშეწონილობის დამტკიცების მიზნით ის გააკეთებს რამდენიმე კომენტარს სახელმწიფო მდივნის თანამდებობის ბუნებასთან დაკავშირებით. მისი მოვალეობები ორი სახისაა და ის თავის ფუნქციებს ახორციელებს ორ განსხვავებულ რანგში – როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მოსამსახურე და როგორც პრეზიდენტის წარმომადგენელი. პირველ შემთხვევაში ის თავის მოვალეობას შეერთებული შტატებისთვის ან მისი მოქალაქეებისთვის ასრულებს, მეორეში კი – პრეზიდენტისთვის; პირველში ის არის დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული მოხელე, მეორეში კი ის დამოკიდებულია პრეზიდენტზე, არის მისი წარმომადგენელი და



უილიამ მარბერი



James Madison

ჯეიმს მადისონი



მხოლოდ მის წინაშე ანგარიშვალდებული. პირველ რანგში ის შეიძლება მანდამუსით აიძულონ, შეასრულოს თავისი მოვალეობა, ხოლო მეორე რანგში – არა. ამ განსხვავებაზე მკაფიოდ მიუთითებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონგრესის ორი აქტი. პირველი მიღებულ იქნა 1789 წლის 27 ივლისს, ტ. 1. გვ. 359, სახელწოდებით „აქტი აღმასრულებელი ხელისუფლების დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომელსაც საგარეო საქმეთა დეპარტამენტი დაერქმევა“. მისი პირველი მუხლი ადგენს მდივნის მოვალეობებს იმ ნაწილში, რომელშიც ის ითვლება უბრალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად. აღნიშნული მოცემულია შემდეგ ტექსტში: „დადგინდეს და ა. შ., რომ უნდა შეიქმნას აღმასრულებელი ხელისუფლების დეპარტამენტი, რომელსაც დაერქმევა საგარეო საქმეთა დეპარტამენტი და რომ მას უნდა ჰყავდეს მთავარი კლერკი, რომელსაც ეწოდება საგარეო საქმეთა დეპარტამენტის მდივანი, რომელიც შეასრულებს იმ მოვალეობებს, რომლებსაც მას, კონსტიტუციის შესაბამისად, დროდადრო დააკისრებს ან დაავალებს შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიმოწერასთან, რწმუნებათა სიგელებთან ან შეერთებული შტატების სახელმწიფო მინისტრებისთვის ან კონსულებისთვის გაცემულ მითითებებთან დაკავშირებით; ან უცხო სახელმწიფოთა სახელმწიფო მინისტრებთან ან მონარქებთან წარმოებულ მოლაპარაკებებთან, უცხო სახელმწიფოთა სახელმწიფო მინისტრების ან სხვა წარმომადგენლების პეტიციებთან ან სხვა განცხადებებთან, აგრეთვე სხვა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება საგარეო საქმეებს, რომლებსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიაკუთვნებს აღნიშნულ დეპარტამენტს; ასევე დადგინდეს, რომ მთავარმა მოხელემ უნდა განახორციელოს სამინისტროს საქმიანობა ისე, როგორც მას შეერთებული შტატების პრეზიდენტი დროდადრო უბრძანებს ან დაავალებს“. მეორე მუხლი ადგენს მთავარი კლერკის დანიშნვის საკითხებს; მესამე მუხლი ითვალისწინებს ფიცის დადებას, რომელიც მხოლოდ გულისხმობს, რომ „კარგად და კეთილსინდისიერად აღასრულოს მისთვის მინიჭებული ნდობა“; ხოლო მეოთხე და ბოლო მუხლებით მას შესაძლებელია გადაეცემა წინა მოწვევის კონგრესის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის საბუღალტრო წიგნები და საბუთები. ამ აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებებსა და დაკისრებულ მოვალეობებთან მიმართებით მანდამუსი არ გამოიყენება. მდივანი პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. კონგრესის დანარჩენი აქტები ამ დეპარტამენტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 1789 წლის 15 სექტემბრის იმავე სესიაზე, ტ. 1, გვ. 41, მუხ. 14, სახელწოდებით „აქტი, რომელიც მიიღება აქტებისა და ჩანაწერების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ბეჭდის, შენახვის უზრუნველსაყოფად და სხვა მიზნებისთვის.“ პირველი მუხლით იცვლება დეპარტამენტისა და მდივნის სახელწოდება. პირველს ეწოდა დეპარტამენტი, ხოლო მეორეს – სახელმწიფო მდივანი. მეორე მუხლი მდივანს აკისრებს ახალ მოვალეობებს, რომელთა შესრულებისას, ცხადია, პრეზიდენტი მას კანონიერად ვერ გააკონტრო-

ლებს მათი ბუნებიდან გამომდინარე და რომლის შეუსრულებლობაზე ის არ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი პრეზიდენტის, ვიდრე შეერთებული შტატების ნებისმიერი სხვა მოქალაქის წინაშე. ის ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტისგან იღებს ყველა კანონპროექტს, ბრძანებას, დადგენილებას და სენატისა და წარმომადგენელთა პალატის საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებსაც პრეზიდენტი წინასწარ ამტკიცებს და აწერს ხელს; უზრუნველყოფს მათ გამოქვეყნებასა და დაბეჭდილი ასლების გადაცემას სენატორებისთვის, წარმომადგენლებისთვის და ასევე რამდენიმე შტატის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის; იღებს ვალდებულებას, საგულდაგულოდ შეინახოს დედნები; აგრეთვე უზრუნველყოფს მათ აღრიცხვას სპეციალურად ამ მიზნისთვის წარმოებულ ჟურნალებში. მესამე მუხლი ადგენს შეერთებული შტატების ბეჭედს. მეოთხე მუხლი მას ავალდებულებს აღნიშნული ბეჭდის შენახვას, ასევე ყველა სამოქალაქო რწმუნებათა სიგელის მომზადებასა და აღრიცხვას და მათზე შეერთებული შტატების ბეჭდის დასმას პრეზიდენტის მიერ მათი ხელმოწერის შემდეგ. მეხუთე მუხლი ადგენს ოფისის ბეჭედს და იმას, რომ მის ოფისში წარმოებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების ყველა ასლი, რომლებიც დამოწმებულია ამ ბეჭდით, უნდა იყოს ისეთივე კარგი მტკიცებულება, როგორც დედნები. მეექვსე მუხლი ადგენს ასლების დამზადების საფასურს და ა. შ. მეშვიდე და ბოლო მუხლები მას ანიჭებს წინა მოწვევის კონგრესის მდივნის ოფისის დოკუმენტების შენახვის უფლებამოსილებას. ამ აქტით დაკისრებული მოვალეობების უმეტესობა საჯარო ხასიათისაა და მდივანი ვალდებულია, შეასრულოს ისინი რომელიმე პირის მხრიდან კონტროლის გარეშე. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს მას საკანონმდებლო ორგანოსგან კანონპროექტების, ბრძანებების, დადგენილებებისა და საარჩევნო ბიულეტენების მიღებაში, აგრეთვე მათ გამოქვეყნებასა და გავრცელებაში ან შენახვასა და აღრიცხვაში. სანამ მდივანი თანამდებობაზე რჩება, პრეზიდენტი მას ვერ ჩამოართმევს შეერთებული შტატების ბეჭდის შენახვის უფლებამოსილებას და ვერც იმ მოხელეების სამოქალაქო რწმუნებათა სიგელების რეგისტრაციასა და მათზე ბეჭდის დასმაში შეუშლის ხელს, რომლებიც თავიანთ თანამდებობებზე არ არიან დანიშნულნი პრეზიდენტის ნებით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მათ ხელი მოაწერა და მდივანს გადასცა ამ მიზნებისთვის. სხვა კანონების თანახმად, მან თავის ოფისში უნდა შეადგინოს და აღრიცხოს სასარგებლო აღმოჩენების პატენტები, აგრეთვე მიწის პატენტები, რომლებიც გაცემულია შეერთებული შტატების ნებართვით. ყველა ამ მოვალეობის შესრულებისას ის არის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც კანონით დაკისრებული მოვალეობების აღსრულებისას ვერ აკონტროლებს პრეზიდენტი, ხოლო თუ ის უგულებელყოფს ან უარს განაცხადებს მათ შესრულებაზე, მანდამუსით ისევე შეიძლება იქნეს დავალდებულებული, როგორც სხვა პირები, რომლებსაც უკავიათ თანამდებობები შეერთებული შტატების ნებართვით. პრეზი-



დენტი ამ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს. მდივანი ვალდებულია, შეასრულოს მოვალეობა, რომელზეც პრეზიდენტს კონტროლი არ აქვს და რომელთან დაკავშირებითაც მას არ აქვს კანონით დაკისრებული ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლება, აგრეთვე რომლის უფლებებელყოფაზეც ის არანაირად არ არის პასუხისმგებელი. მხოლოდ მდივანი არის ის პირი, რომელსაც მინდობილი აქვს მათი შესრულება და მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი მათ სათანადო შესრულებაზე. შესაბამისად, სახელმწიფო მდივანი, რომელიც იმყოფება იმავე მდგომარეობაში ამ მოვალეობებთან მიმართებით, როგორც შეერთებული შტატების ყველა სხვა მოსამსახურე და თანაბრად შეიძლება იქნეს დავალდებულებული, შეასრულოს ისინი, ასევე ვალდებულია, დაიცვას მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის იგივე წესები. ეს მოვალეობები არ არის კონფიდენციალური, არამედ საჯარო ხასიათის და მის კლერკებს არ შეიძლება ჰქონდეთ განსაკუთრებული პრივილეგიები. უდავოა, რომ არის ფაქტები, რომლებიც მათთვის შეიძლება გახდეს ცნობილი სახელმწიფო მდივანთან კავშირის გამო, რომელთან დაკავშირებითაც მათ ვერ დავავალდებულებთ პასუხის გაცემას. ასეთი ფაქტები ეხება უცხოურ მიმოწერას, აგრეთვე კონფიდენციალურ კომუნიკაციას დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და პრეზიდენტს შორის. ამდენად, აღნიშნული ვერ იქნება მათ მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმის საფუძველი, მაგრამ შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე უარის საფუძველი. ვთქვათ, მე პრეტენზია მაქვს იმ მიწის საკუთრების უფლებაზე, რომელიც შეერთებული შტატების პატენტითაა დაცული. მე ვითხოვ მის ასლს სახელმწიფო მდივანისგან. ის უარს მეუბნება. რა თქმა უნდა, მანდამუსით შეიძლება მისი დავალდებულება, რომ გასცეს ის, მაგრამ მანდამუსის მისაღებად მე უნდა დავამტკიცო, რომ პატენტი მის ოფისში აღრიცხულია. ჩემი საქმე ნამდვილად გართულდებოდა, თუ ამ ფაქტის დასადასტურებლად არ მომეცემოდა ოფისის კლერკებისთვის მიმართვის შესაძლებლობა. და კიდევ, დავუშვათ, რომ კონგრესმა კერძო აქტი მიიღო ჩემს სასარგებლოდ. დგება ამ აქტის სასამართლოში გამოყენების აუცილებლობა. ვითხოვ მის ასლს, მაგრამ ვიღებ უარს. მომეცემა თუ არა უფლება, მანდამუსის გაცემის შესახებ შუამდგომლობის წარდგენით ოფისის კლერკებისგან მოვითხოვო, დამიდასტურონ, რომ ეს აქტი ინახება ოფისის არქივში, ან რომ ის სათანადო წესითაა აღრიცხული? ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ, მიუხედავად იმისა, კანონები უნდა აღრიცხებოდეს, შესაბამის ჩანაწერებზე წვდომა არ უნდა იყოს შესაძლებელი და მათგან ვერანაირი სარგებელი ვერ უნდა მივიღოთ.

სასამართლომ ბრძანა, რომ მოწმეებმა დადონ ფიცი და მათი პასუხები წერილობით იქნეს დაფიქსირებული, მაგრამ აცნობა მათ, რომ შეკითხვების დასმისას მათ შეუძლიათ გამოთქვან პროტესტი კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წერილობითი გამოკითხვის ფარგლებში ბ-ნმა ვაგნერმა განაცხადა, რომ, ვინაიდან დიდი დროა გასული, ის ვერ იხსენებს, უნახავს თუ არა ოფისში რწმუნებათა სიგელი, რომელიც ეხებოდა მოსარჩელებს ან რომელიმე მომრიგებელ მოსამართლეს. რომ ბ-ნმა მარბერი და ბ-ნმა რამსიმ მიმართეს სახელმწიფო მდივანს მათ რწმუნებათა სიგელებთან დაკავშირებით. რომ მდივანმა ისინი მასთან გადაამისამართა; მან ისინი სხვა ოთახში გაიყვანა და მოახსენა, რომ ხელმოწერილია ორი რწმუნებათა სიგელი, დანარჩენი კი – არა. რომ მან ამ ფაქტის შესახებ იცოდა არა საკუთარი ცოდნიდან გამომდინარე, არამედ სხვებისგან გადმოცემით. ბ-ნმა ვაგნერმა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე შეკითხვაზე, თუ „ვინ მიაწოდა მას ეს ინფორმაცია“; ხოლო სასამართლომ მიიჩნია, რომ ის არ არის ვალდებული, უპასუხოს ამ შეკითხვას, რადგან ის ამ საქმეს არ ეხებოდა. მან ასევე დაადასტურა, რომ მოსამართლეების ზოგიერთი რწმუნებათა სიგელი, მაგრამ, მისი აზრით, არა ყველა, აღრიცხულია. მან არ იცოდა, აღრიცხულია თუ არა უშუალოდ მოსარჩელების რწმუნებათა სიგელები, ვინაიდან თორმეტ თვეზე მეტია, რაც ჟურნალი არ დასჭირვებია.

ბ-ნმა დანიელ ბრენტმა განაცხადა, რომ მას დაზუსტებით არ ახსოვს ბ-ნი ადამსის მიერ ხელმოწერილ მომრიგებელი მოსამართლეების რწმუნებათა სიგელებში აღნიშნული არცერთი პირის სახელი; მაგრამ ის ვარაუდობდა და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ბ-ნი მარბერისა და პოლკოვნიკ ჰუს რწმუნებათა სიგელები მომზადებულია, ხოლო ბ-ნი რამსის – არა; რომ მისი შედგენილია სახელობით სია, რომლითაც იხელმძღვანელა კლერკმა რწმუნებათა სიგელების შევსებისას; ის ფიქრობდა, რომ ბ-ნი რამსი შეცდომით იყო გამორჩენილი, მაგრამ, რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, სია შეიცავდა დანარჩენი ორის სახელსა და გვარს; ის ფიქრობდა, რომ ბ-ნი ადამსის მიერ ხელმოწერილი მომრიგებელი მოსამართლეების არცერთი რწმუნებათა სიგელი არ აღრიცხულა. მომრიგებელი მოსამართლეების რწმუნებათა სიგელების მომზადების შემდეგ ისინი ბ-ნ ადამსს წაუღო ხელმოსაწერად. ხელმოწერის შემდეგ მან ისინი ისევ მდივნის ოფისში დააბრუნა, სადაც მათზე შეერთებული შტატების ბეჭედი იქნა დასმული. რომ რწმუნებათა სიგელები, როგორც წესი, არ იგზავნება ოფისიდან, სანამ არ მოხდება მათი აღრიცხვა; მაგრამ ზოგჯერ იგზავნება და ამის შესახებ მხოლოდ ჩანაწერი კეთდება, მოგვიანებით კი ხდება მათი აღრიცხვა. მისი ვარაუდით, მოსამართლეების რწმუნებათა სიგელები საერთოდ არ გაგზავნილა ან მიწოდებულა იმ პირებისთვის, რომლებსთვისაც იყო ისინი განკუთვნილი; მან არ იცოდა, თუ რა ბედი ეწია რწმუნებათა სიგელებს და არც ის იცოდა, არის თუ არა ისინი ახლა სახელმწიფო მდივნის ოფისში.

გენერალურმა პროკურორმა, ბ-ნმა ლინკოლნმა, რომელიც სასამართლოში იყო დაბარებული და ახლა გამოიძახეს, პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა. მან მოითხოვა,



მისთვის წერილობითი სახით შეკითხვები დაესვათ და რომ მოგვიანებით მას ჰქონდა დრო გადაწყვეტილების მისაღებად, უპასუხებდა თუ არა მათ. ერთი მხრივ, ის პატივს სცემდა ამ სასამართლოს იურისდიქციას, ხოლო, მეორე მხრივ, თავს ვალდებულად თვლიდა, დაეცვა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებები. იმ დროს, როდესაც ეს გარიგება შედგა, ბ-ნი ლინკოლნი სახელმწიფო მდივნის მოვალეობას ასრულებდა. მას მიაჩნდა და მის აზრს მხარს უჭერდნენ სხვა ადამიანებიც, რომლებსაც დიდ პატივს სცემდა, რომ არ იყო ვალდებული და არც უნდა ეპასუხა შეკითხვებზე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ოფიციალურად გახდა ცნობილი სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შესრულებისას.

შემდეგ მას წაუკითხეს და გადასცეს დაწერილი შეკითხვები. მან გაიმეორა თავის მიერ მანამდე გამოთქმული მოსაზრებები და განაცხადა, რომ მისი პროტესტი ორი სახისაა:

პირველი, ის არ თვლიდა საკუთარ თავს ვალდებულად, გაემჟღავნებინა მის მიერ სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული ოფიციალური გარიგებები; და

მეორე, არ უნდა აიძულონ, პასუხი გასცეს ისეთ რამეს, რაც მას ამხილებდა.

პასუხად ბ-ნმა ლიმ გაიმეორა იმ განცხადების შინაარსი, რომელიც მანამდე ბ-ნი ვაგნერისა და ბ-ნი ბრენტის პროტესტის საპასუხოდ გააკეთა. მან თქვა, რომ სახელმწიფო მდივნის მოვალეობები ორგვარია. ამ მოვალეობების ერთი ნაწილის შესრულებისას ის მოქმედებს როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მოსამსახურე, პრეზიდენტისგან სრულიად დამოუკიდებლად, ხოლო იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ოფიციალურად გახდა ცნობილი ამ რანგში, ის ისევეა ვალდებული, გასცეს პასუხი, როგორც სასამართლოს აღმასრულებელი, გადასახადების ამკრეფი ან ნებისმიერი სხვა მოსამსახურე. მაგრამ მეორე ნაწილის შესრულებისას ის მოქმედებს არა როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, არამედ პრეზიდენტის წარმომადგენელი, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს მისი ბრძანებები და საკუთარ საქციელზე პასუხს აგებს მის წინაშე. ხოლო იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ოფიციალურად გახდა მისთვის ცნობილი თავისი მოვალეობების ამ ნაწილის შესრულებისას, ის არ არის ვალდებული, გასცეს პასუხი. ბ-ნი ლი დაეთანხმა იმას, რომ ბ-ნი ლინკოლნი არ იყო ვალდებული, გაემჟღავნებინა ისეთი რამ, რაც მას ამხილებდა.

ბ-ნმა ლინკოლნმა ჩათვალა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო მდივანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ვალდებულება, გამოცხადდეს სასამართლოში მოწმის სტატუსით და მისცეს ჩვენება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის გახდა ცნობილი. ის თავს დელიკატურ მდგომარეობაში გრძნობდა, ერთი მხრივ, ჰქონდა რა მოვალეობა ამ სასამართლოს წინაშე და,

მეორე მხრივ, მოვალეობა, რომელიც, მისი შეხედულებით, ჰქონდა აღმასრულებელი ხელისუფლების დეპარტამენტის წინაშე, და იმედოვნებდა, რომ სასამართლო მისცემდა დროს ამ საკითხზე პასუხების მოსაფიქრებლად.

სასამართლომ განაცხადა, რომ, თუ ბ-ნ ლინკოლნს სჭირდება დრო პასუხების მოსაფიქრებლად, ის ამ დროს მისცემს; თუმცა, სასამართლოს ეჭვიც არ ეპარება, რომ მან პასუხები უნდა წარმოადგინოს. რაიმე კონფიდენციალურის გამჟღავნება საჭირო არ არის. ეს რომ ასე იყოს, ის არ იქნებოდა ვალდებული, ეპასუხა; ხოლო თუ ის ფიქრობს, რომ რაიმე საიდუმლოდ გაანდვებს, ის არ არის ვალდებული, ეს გაამჟღავნოს; ის ასევე არ არის ვალდებული, ისეთი რამ თქვას, რაც მას ამხილებდა; თუმცა, იყო თუ არა აღნიშნული რწმუნებათა სიგელები ოფისში, კონფიდენციალური ფაქტი ვერ იქნება; ეს არის ფაქტი, რომლის ცოდნის უფლებაც მთელ მსოფლიოს აქვს. თუ ის რომელიმე შეკითხვას უმართებულოდ მიიჩნევს, შეუძლია გამოთქვას პროტესტი.

ბ-ნმა ლინკოლნმა პასუხების მოსაფიქრებლად ხვალამდე ითხოვა დრო, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად.

სასამართლომ მისი თხოვნა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა მეორე დღისთვის გადადო. მეორე დღით სასამართლო სხდომის გახსნაზე ბ-ნმა ლინკოლნმა განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, გარდა უკანასკნელი შეკითხვისა, რომელზეც სრულად პასუხის გაცემის ვალდებულება, როგორც ის თვლიდა, არ აქვს. შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რა ბედი ეწია რწმუნებათა სიგელებს. მან ყოყმანის გარეშე უპასუხა, რომ არ იცის, გადაეცა თუ არა ისინი ბ-ნ მედისონს, და არც ის იცის, იყო თუ არა ისინი ოფისში, როდესაც ბ-ნ მედისონს ჩაჰბარდა. მან ითხოვა სასამართლოს მოსაზრების გაგება იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ის ვალდებული, გაემჟღავნებინა, თუ რა ბედი ეწია რწმუნებათა სიგელებს.

სასამართლო იმ აზრისა იყო, რომ ის არ იყო ვალდებული, ეთქვა, თუ რა ბედი ეწია რწმუნებათა სიგელებს. თუ ისინი არასოდეს ჩაჰბარებია ბ-ნ მედისონს, მოცემული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა მოიმოქმედეს სხვებმა ამ სიგელებთან მიმართებით.

დანარჩენ შეკითხვებზე მან უპასუხა, რომ ნანახი ჰქონდა ბ-ნი ადამსის მიერ ხელმოწერილი კოლუმბიის ოლქის მომრიგებელი მოსამართლეების რწმუნებათა სიგელები, რომლებზეც დასმული იყო შეერთებული შტატების ბეჭედი. მან ვერ გაიხსენა, ეხებოდა თუ არა რომელიმე მათგანი მომრიგებელ მოსამართლეებს ბ-ნ მარბერის, პოლკოვნიკ ჰუს ან პოლკოვნიკ რამსის; როდესაც ის ოფისში მივიდა, ოლქის მომრიგებელი მოსამართლეების რამდენიმე რწმუნებათა სიგელი უკვე შედგენილი იყო; ბ-ნ ლინკოლნს გადმოსცეს საერთო რწმუნებათა სიგელში შესა-

ტანი სახელების სია, რაც მან შეასრულა და ჩათვალა, რომ ეს საერთო დოკუმენტი კონკრეტულ რწმუნებათა სიგელებს ჩაანაცვლებდა; იმ პირებს კი, რომელთა სახელებიც შეტანილი იქნა საერთო რწმუნებათა სიგელში, ეცნობათ მათი ამგვარად დანიშვნის შესახებ. მან არ იცოდა, გაეგზავნა თუ არა საერთოდ რომელიმე რწმუნებათა სიგელი იმ პირს, ვისთვისაც იყო შედგენილი. მისი აზრით, არცერთი არ გაგზავნილა.

ამის შემდეგ ბ-ნმა ლიმ წაიკითხა ჯეიმს მარშალის წერილობითი ჩვენება, რომელიც ასევე მოწმის სახით იყო დაბარებული. მასში ნათქვამი იყო, რომ 1801 წლის 4 მარტს, როდესაც ალექსანდრიიდან ერთმა ადამიანმა აცნობა, რომ იმ ღამით ამ ქალაქში არეულობა იყო მოსალოდნელი, ის იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ სახლში დაბრუნებულიყო და შეეველო სახელმწიფო მდივნის ოფისში მომრიგებელი მოსამართლეების რწმუნებათა სიგელების გამო; რომ მას გადმოსცეს, როგორც ის ფიქრობდა, ამ ოლქის მოსამართლეთა 2 რწმუნებათა სიგელი, რომლებისთვისაც მან მისცა ხელწერილი და რომლებიც ოფისში დატოვა. როცა მიხვდა, რომ ყველას მოხერხებულად ვერ წამოიღებდა, რამდენიმე მათგანი უკან დააბრუნა და ხელწერილში კალმით გადახაზა მათი სახელები, ვისიც დააბრუნა. დაბრუნებულ რწმუნებათა სიგელებს შორის, რამდენადაც იყო მისთვის ცნობილი, ერთი იყო პოლკოვნიკ ჰუსის, ხოლო მეორე – უილიამ ჰარპერის.

შემდეგ ბ-ნმა ლიმ აღნიშნა, რომ, ვინაიდან რწმუნებათა სიგელების არსებობა დამტკიცებულია, ის გადაწყვეტილების სასარგებლოდ წარსადგენ შემდგომ შენიშვნებს სამი შეკითხვით შემოფარგლავდა:

პირველი, შეუძლია თუ არა უზენაეს სასამართლოს მიიღოს გადაწყვეტილება მანდამუსის გაცემის შესახებ ნებისმიერ შემთხვევაში?

მეორე, გაიცემა თუ არა ის სახელმწიფო მდივნის მიმართ ნებისმიერ შემთხვევაში?

მესამე, შეუძლია თუ არა მოცემულ საქმეში სასამართლოს გასცეს მანდამუსი სახელმწიფო მდივან ჯეიმს მედისონის მიმართ?

არგუმენტი პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით გამომდინარეობს არა მხოლოდ იმ ქვეყნის პრინციპებიდან და პრაქტიკიდან, საიდანაც ვიღებთ ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების ბევრ პრინციპს, არამედ შეერთებული შტატების კონსტიტუციიდან და კანონებიდან.

ეს არის უზენაესი სასამართლო და ის, თავისი უზენაესი ხასიათიდან გამომდინარე, უნდა ახორციელებდეს ქვემდგომი სასამართლოებისა და მოხელეების – იქნება ეს სასამართლოს თუ სამინისტროს მოხელეები – ზედამხედველობას. ამ მხრივ არანაირი განსხვავება არ არის სასამართლოსა და სამინისტროს მოხელეებს შორის.

რის. ინგლისის სამეფო ტახტის სასამართლოს მხოლოდ ამ პრინციპის საფუძველზე აქვს მანდამუსისა და ამკრძალავი ბრძანების გაცემის უფლებამოსილება. 3 Inst. 70, 71 შეგვიძლია თუ არა ვამტკიცოთ, რომ სამეფო ტახტის სასამართლოს ეს უფლებამოსილება იქიდან გამომდინარე აქვს, რომ უზენაესი სასამართლოა და უნდა უარყოთ თუ არა ამ სასამართლოს უფლებამოსილება, რომელსაც კონსტიტუცია უზენაეს სასამართლოდ ადგენს? ეს სასარგებლო და, ამავდროულად, საჭირო უფლებამოსილებაა. თუმცა ის ვერასდროს ვერ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს სხვა *სათანადო, კონკრეტული, სამართლებრივი დაცვის საშუალება*.

კონსტიტუციის მესამე მუხლის მეორე ნაწილი ამ სასამართლოს ანიჭებს სააპელაციო იურისდიქციას საერთო სამართლისა და სამართლიანი სამართლის ყველა საქმეში, რომლებიც შეერთებული შტატების კონსტიტუციიდან და კანონებიდან გამომდინარეობს (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც მას აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია) იმ გამონაკლისებით და იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც კონგრესი დაადგენს. ტერმინი „სააპელაციო იურისდიქცია“ ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. ის თავისი ბუნებით გულისხმობს ქვემდგომი სასამართლოების ზედამხედველობის უფლებამოსილებას.

საჩივრების საგნიდან გამომდინარე, სააპელაციო წარმოება სხვადასხვა სახისაა. 3 Bl. Com. 402. დამკვიდრებულ და უცვლელ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ ყოველი უფლებისთვის, მისი დარღვევის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სამართლებრივი დაცვის საშუალება, ხოლო ყოველი ზიანისთვის – სათანადო კომპენსაცია. 3 Bl. Com. 109. მიყენებული ზიანის ზოგიერთი სახეობის კომპენსაცია შესაძლებელია მხოლოდ მანდამუსის საშუალებით, ზოგიერთის კი – ამკრძალავი ბრძანების საშუალებით. მაშინ უნდა არსებობდეს იურისდიქცია, რომელსაც ექნება ამ სახის პროცესის დაწყების კომპეტენცია. სად უნდა ვეძებოთ ის თუ არა იმ სასამართლოში, რომელიც კონსტიტუციამ და კანონებმა აქციეს უზენაესად და რომელსაც მიანიჭეს სააპელაციო იურისდიქცია? ბლექსტონის მე-3 ტომის 110-ე გვერდზე ნათქვამია, რომ მანდამუსი არის „სამეფო ტახტის სასამართლოს მიერ მეფის სახელით ნებისმიერი პირის, კორპორაციისა თუ ქვემდგომი სასამართლოსადმი გაცემული ბრძანება, რომელიც ავალებს მათ მასში მითითებული კონკრეტული მოქმედების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია მათ თანამდებობასა და მოვალეობასთან და რომელიც სასამართლომ მანამდე დაადგინა, ან, სულ მცირე, ივარაუდა, რომ შეესაბამება სიკეთისა და სამართლიანობის პრინციპს. ეს არის სასამართლოს ბრძანება, რომელიც, ძირითადად, გამოსასწორებელ ხასიათს ატარებს და გაიცემა ყველა იმ საქმეში, სადაც მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს მოქმედების შესრულება, მაგრამ არ გააჩნია სხვა კონკრეტული საშუალება მისი შესრულების იძულებისთვის“.



„ფედერალისტის“ მე-2 ტომის 239-ე გვერდზე ნათქვამია, რომ სიტყვა „სააპელაციო“ არ უნდა იქნეს გაგებული მისი სპეციალური მნიშვნელობით, რომელსაც სამოქალაქო სამართალში სააპელაციო საჩივრებთან მიმართებით იყენებენ, არამედ მისი ყველაზე ფართო მნიშვნელობით, როდესაც ის არაფერს სხვას არ აღნიშნავს, გარდა ერთი სასამართლოს უფლებამოსილებისა, გადასინჯოს მეორე სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლის ნორმებთან ან ფაქტებთან, ან ორივესთან მიმართებით. მანდამუსი სააპელაციო საჩივრის მსგავსია როგორც ფაქტებთან, ისე სამართლის ნორმებთან მიმართებით. კონგრესი უფლებამოსილია, დაადგინოს პროცესის ფორმები, რომლითაც უზენაესი სასამართლო განახორციელებს თავის სააპელაციო იურისდიქციას და მას თავისუფლად შეუძლია მანდამუსი ერთ-ერთ ასეთ ფორმად განსაზღვროს. მაგრამ ამ უფლებამოსილებას შედეგი არ განსაზღვრავს. მას აღიარებს საკანონმდებლო ნორმა და ასევე ამ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

კონგრესმა კონსტიტუციის მიღებიდან პირველივე სხდომაზე მიღებული კანონით, ტ. 1. გვ. 58, @ 13, უზენაეს სასამართლოს პირდაპირ მიანიჭა მანდამუსების გაცემის უფლებამოსილება. მასში ნათქვამია, რომ „უზენაესი სასამართლო ასევე ახორციელებს სააპელაციო იურისდიქციას საოლქო სასამართლოებსა და რამდენიმე შტატის სასამართლოებთან მიმართებით წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ის უფლებამოსილია, გასცეს ამკრძალავი ბრძანებები რაიონული სასამართლოების მიმართ იმ შემთხვევებში, როდესაც ის მოქმედებს როგორც საადმირალო და საზღვაო იურისდიქციის სასამართლო, აგრეთვე მანდამუსები შეერთებული შტატების ნებართვით დანიშნული ნებისმიერი სასამართლოს ან თანამდებობის პირის მიმართ, სამართლის პრინციპებითა და პრაქტიკით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

კონგრესს არ ეზღუდება პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციის მინიჭება კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა სხვა შემთხვევებშიც. 2 Dal. Rep. 298.

ამ სასამართლომ ერთ საქმეში განახორციელა იურისდიქცია მანდამუსთან დაკავშირებით, ხოლო მეორეში – აკრძალვასთან დაკავშირებით. საქმეში „შეერთებული შტატები მოსამართლე ლორენსის წინააღმდეგ“, 3 Dal Rep. 42, გენერალურმა პროკურორმა საფრანგეთის მინისტრის ინიციატივით მოითხოვა მანდამუსის გამოცემა, რათა, საფრანგეთთან საკონსულო კონვენციის ერთ-ერთი მუხლის საფუძველზე, აიძულებინა მოსამართლე ლორენსი, გამოეცა ორდერი ფრანგული სამხედრო ხომალდის „ლე პერდრი“ (Le Perdrix) მეთაურის კაპიტან ბარეს წინააღმდეგ. ამ საქმეში სასამართლოს უფლებამოსილება, გასცეს მანდამუსები ორივე მხარის ადვოკატების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებში თავისთავად ნაგულისხმევად იყო მიჩნეული და, როგორც ჩანს, სასამართლომაც ასე

ჩათვალა. მანდამუსი არ გაიცა, ვინაიდან საქმე, რომელშიც იყო ის საჭირო, არ იყო შესაფერისი შუამდგომლობის მხარდასაჭერად. საქმეში „შეერთებული შტატები მოსამართლე პეტერსის წინააღმდეგ“ გაიცა ამკრძალავი ბრძანება, 3 Dal. Rep. 121, 129. ეს იყო ფრანგული კორვეტ „კასიუსის“ ცნობილი საქმე, რომელიც შემდგომში ორ ერს შორის დიპლომატიური დავის საგანი გახდა. 1794 წლის 5 თებერვალს უზენაეს სასამართლოში კონექტიკუტის მოქალაქე ჯონ ჩენდლერის სახელით შევიდა შუამდგომლობა სამხედრო მინისტრის მიმართ მანდამუსის გაცემის მოთხოვნით, რომელიც მას დაავალდებულებდა ჩენდლერის ინვალიდთა საპენსიო სიაში შეყვანას. მსჯელობის შემდეგ სასამართლომ უარი თქვა მანდამუსის გაცემაზე, ვინაიდან კონგრესის ორი აქტი, რომლებიც ეხებოდა ინვალიდებს, არ ითვალისწინებდა იმ შემთხვევას, რომელსაც დაეყრდნო განმცხადებელი თავის შუამდგომლობაში. საქმე „შეერთებული შტატები ჰოპკინსის წინააღმდეგ“, რომელიც 1794 წლის თებერვლის სხდომაზე იქნა განხილული, წარმოადგენდა ვირჯინიის ოლქის საკრედიტო ოფიცერ ჰოპკინსის მიმართ მანდამუსის გაცემის შესახებ შუამდგომლობას, რომელიც მას დაავალდებულებდა პირისთვის შეერთებული შტატების სესხის გამოწერის უფლების მიცემას. მსჯელობის შემდეგ სასამართლომ უარი თქვა მანდამუსის გაცემაზე, ვინაიდან განმცხადებელმა თავისი საკუთრების უფლება სათანადოდ ვერ დაადასტურა. არცერთ ამ და არც სხვა შემთხვევაში არასოდეს არ ყოფილა უარყოფილი ამ სასამართლოს უფლებამოსილება, გასცეს მანდამუსები. აქედან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციის საკანონმდებლო ინტერპრეტაცია და მასზე დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკა ამ მთავრობის ჩამოყალიბების დღიდან არსებობს.

მეორე, მეორე საკითხია, შესაძლებელია თუ არა, რომ მანდამუსი სახელმწიფო მდივნის მიმართ ნებისმიერ შემთხვევაში გაიცეს? რა თქმა უნდა, ის ვერ გაიცემა ყველა შემთხვევაში და არცერთ შემთხვევაში არ გაიცემა პრეზიდენტის მიმართ. შესაძლოა, ამ თანამდებობის ხსენება უმართებულო იყოს, მაგრამ იძულებული ვარ, ეს გავაკეთო. არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო მდივნის მიმართ გაცემული მანდამუსი შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართ გაცემული მანდამუსის ეკვივალენტურია. მე ვაცხადებ, რომ ჩემი შეხედულებით, რომელიც ემყარება ამ საკითხის ყოვლისმომცველ ხედვას, პრეზიდენტი თავისი მაღალი რანგის ფუნქციების განხორციელებაზე არ აგებს პასუხს არცერთი სასამართლოს წინაშე, არამედ აგებს პასუხს მხოლოდ კონსტიტუციაში მითითებული წესით. როგორც მანამდე აღინიშნა, სახელმწიფო მდივანი მოქმედებს ორ რანგში. როგორც პრეზიდენტის წარმომადგენელი, ის არ ექვემდებარება მანდამუსს; მაგრამ როგორც შეერთებული შტატების კანონთა რეგისტრატორი, როგორც დიდი ბეჭდის მცველი, როგორც მიწასთან დაკავშირებული დოკუმენტების, წყალობის სიგელების, რწმუნებათა სიგელების და ა. შ.

რეგისტრატორი, ის არის შეერთებული შტატების ხალხის სახელმწიფო მოსამსახურე. როგორც ასეთი, ის ასრულებს კანონით დაკისრებულ მოვალეობებს და მათი შესრულების პროცესში ის თავისუფალია ყოველგვარი კონტროლისგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა. მართალია, ის მაღალი თანამდებობის პირია, მაგრამ კანონზე მაღლა არ დგას. ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების პოლიტიკასთან ან შეერთებული შტატების მოქალაქეთა ზნეობასთან შეუსაბამოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციებს, ამ ფუნქციების განხორციელებისას არ ემორჩილება კანონის მოთხოვნებს. როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, ის ვალდებულია შეასრულოს თავისი მოვალეობები, ხოლო თუ ის უარს განაცხადებს მათ შესრულებაზე, მას წაუყენებენ ბრალდებას. ასეთი სასამართლო დევნა შეიძლება იყოს მოხელის დასჯის საშუალება, მაგრამ დაზარალებულ მხარეს კონკრეტული სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალების მიღება მხოლოდ მანდამუსის საშუალებით შეუძლია. თუ ამ სასამართლოს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია მანდამუსის გაცემა, მას უფლება აქვს, გასცეს ის სახელმწიფო მდივნის მიმართაც, ვინაიდან კონგრესის აქტი მკაფიოდ ითვალისწინებს მისი გაცემის უფლებამოსილებას „სამართლის პრინციპებითა და პრაქტიკით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნებისმიერი პირის მიმართ, რომელსაც უკავია თანამდებობა შეერთებული შტატების ნებართვით“.

მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, როდესაც სახელმწიფო მდივანი უნდა აიძულოს, შეასრულოს თავისი მოვალეობა. კონგრესის აქტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, ტ. 1. გვ. 43, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფისის ბეჭდით დამოწმებული ასლები სასამართლოსთვის მტკიცებულებას წარმოადგენს და მათ დასამზადებლად წესდება საფასური. კანონის მიზანი უნდა ყოფილიყო ის, რომ ყველას, ვისაც სჭირდება ასლი, უნდა ჰქონოდა მისი მიღების უფლება. დავუშვათ, მდივანი უარს ამბობს ასლის გაცემაზე, უნდა მოხდეს თუ არა მისი იძულება? დავუშვათ, შეძენილი მიწებისთვის მაქვს შეერთებული შტატების პატენტის მიღების უფლება. მას ადგენს და ხელს აწერს პრეზიდენტი, რომელიც მდივანს აძლევს პატენტზე დიდი ბეჭდის დასმის განკარგულებას. ის ამის გაკეთებაზე უარს ამბობს. ნუთუ არ უნდა შემემლოს მანდამუსის მოპოვება იმისთვის, რომ მას ამის გაკეთება ვაიძულო? დავუშვათ, ბეჭედი დასმულია, მაგრამ მდივანი უარს ამბობს მის დარეგისტრირებაზე. უნდა მოხდეს თუ არა მისი იძულება? დავუშვათ, ის დარეგისტრირებულია და მდივანი უარს ამბობს მის გადაცემაზე. ნუთუ ჩემთვის არ უნდა ხელმისაწვდომი შესაბამისი დაცვის საშუალება?

ამ მხრივ, მიწის პატენტსა და სასამართლო მოხელის რწმუნებათა სიგელს შორის არანაირი განსხვავება არ არის. მდივნის მოვალეობა ზუსტად იგივეა.

მოსამართლე პატერსონმა ბ-ნ ლის ჰკითხა, თვლის თუ არა ის, რომ მდივნის მოვალეობაში შედის რწმუნებათა სიგელის გადაცემა, თუ ამის შესახებ ბრძანება პრეზიდენტს არ გაუცია.

ბ-მა ლიმ უპასუხა, რომ პრეზიდენტის მიერ რწმუნებათა სიგელის ხელმოწერის შემდეგ იმ თანამდებობის შემთხვევაში, რომელზეც პირი პრეზიდენტის ნებით არ ინიშნება, და ბეჭდის დასასმელად ამ დოკუმენტის მდივანთან შესვლის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობა ამით სრულდება და აღარაფერი რჩება იმის გარდა, რომ მდივანმა შეასრულოს მისთვის კანონით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები. მისი მოვალეობა მაშინვე ხდება დოკუმენტზე ბეჭდის დასმა, მისი დარეგისტრირება და, მოთხოვნის შემთხვევაში, პირისთვის გადაცემა. ასეთ შემთხვევაში, დანიშვნის პროცესი სრულდება ხელმოწერისა და ბეჭდის დასმით, მდივანი კი არასწორად იქცევა, თუ უარს ამბობს რწმუნებათა სიგელის გადაცემაზე.

მესამე, მესამე საკითხი იმაში მდგომარეობს, უნდა გამოიცეს თუ არა წინამდებარე საქმეში მანდამუსი სახელმწიფო მდივან ჯეიმს მედისონის მიმართ.

კოლუმბიის ოლქის მომრიგებელი მოსამართლეები არიან სასამართლო მოხელეები და თავიანთ თანამდებობებს იკავებენ ხუთი წლის განმავლობაში. ეს თანამდებობა შეიქმნა 1803 წლის 27 თებერვალს მიღებული კონგრესის აქტით, სახელწოდებით „აქტი კოლუმბიის ოლქის შესახებ,“ თავი 86, @ 11 და 4; გვერდები 271, 273. ისინი უფლებამოსილნი არიან, გამართონ სასამართლოს სხდომები და განიხილონ პირთა მოთხოვნები, რომელთა ღირებულებაც 20 დოლარს შეადგენს. 1802 წლის 3 მაისის აქტი, თავი 52, @ 4, მათ სასამართლო მოხელეებად მიიჩნევს და ადგენს მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების წესს. ისინი თავიანთ თანამდებობებს იკავებენ პრეზიდენტის ნებისგან დამოუკიდებლად. ასეთი მოხელის დანიშვნის პროცესი სრულდება მაშინ, როცა პრეზიდენტი მის კანდიდატურას წარუდგენს სენატს, ეს უკანასკნელი გასცემს რჩევასა და თანხმობას, ხოლო პრეზიდენტი ხელს მოაწერს შესაბამის რწმუნებათა სიგელს და გადასცემს მდივანს ბეჭდის დასასმელად. როგორც კი პრეზიდენტი მასთან დაკავშირებით თავის საქმეს ასრულებს, ის ხდება შეუქცევადი. მას შემდეგ, რაც მოსამართლის დანიშვნის პროცესი ერთხელ დასრულდება, დანიშვნა ცვლილებას აღარ ექვემდებარება. მოსამართლე თანამდებობას იკავებს კონსტიტუციის შესაბამისად. მოვალეობები, რომლებიც აკისრია მდივანს, სამსახურებრივი ხასიათისაა და დადგენილია კანონით. მას არ აქვს არჩევანის გაკეთების უფლება და უნდა შეასრულოს ისინი. კანონით დაკისრებული მოვალეობებისგან განთავისუფლების უფლება არავის აქვს. კანონის თვალსაზრისით ისინი თითქოს სრულდება.



ეს მოსამართლეები ახორციელებენ შეერთებული შტატების სასამართლო უფლებამოსილების ნაწილს. ამიტომაც უნდა იყვნენ ისინი დამოუკიდებელი. ბ-ნმა ლიმ კვლავ ითხოვა „ფედერალისტის“ მოშველიების ნებართვა, ტომი 2, ნომრები 78 და 79, ვინაიდან ამ საკითხის სწორი ხედვა ამ ნომრებშია მოცემული. ისინი შეიცავს მოსაზრებებსა და იდეებს, რომლებიც, მისი აზრით, ყველას უნდა წაეკითხა და გაეგო. ისინი შეიცავს პრინციპებს, რომლებზეც აგებულია ჩვენი კონსტიტუციის ეს დარგი. ამ ოლქის მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეები იყვნენ დამოუკიდებელი. მათ მიმართ უშუალოდ განხორციელებული თითქმის მთლიანი ძალაუფლება წარმოადგენს მოსამართლეების ძალაუფლებას. მათ სურთ იცოდნენ, უნდა დაიკავონ თუ არა ამ ოლქის მოსამართლეებმა თავიანთი თანამდებობები სახელმწიფო მდივნის სურვილის მიხედვით. ეს საკითხი, ერთი შეხედვით, შეიძლება ბანალური ჩანდეს, მაგრამ პრინციპში ის მნიშვნელოვანია. ესაა მიზეზი იმისა, რომ ახლა ეს სასამართლო შეწყუბებულია ამ საკითხით. მოსარჩელეთა პრეტენზიის საგანს არ წარმოადგენს თანამდებობრივი სარგო ან თანამდებობის ტიტული. ისინი თავიანთ თავს სათანადოდ დანიშნულ მომრიგებელ მოსამართლეებად თვლიან და ფიქრობენ, რომ მათი მოვალეობაა საკუთარი თანამდებობის უფლებების დაცვა და ხელისუფლების მიერ მათი დარღვევის არდაშვება. ამ ოლქის მოქალაქეები შემფოთებულნი არიან ძალაუფლების ყოველი გამოვლენის გამო იმ პირის მხრიდან, რომელსაც უკავია სახელმწიფო მდივნის მაღალი თანამდებობა.

ახლა განსახილველი რჩება მხოლოდ ის საკითხი, წარმოადგენს თუ არა მანდამუსი, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფო მოსამსახურეს გადასცეს რწმუნებათა სიგელი პირს, „სამართლის პრინციპებითა და პრაქტიკით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევას“.

სამართლის ზოგადი პრინციპია, რომ მანდამუსი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა სათანადო, კონკრეტული, სამართლებრივი დაცვის საშუალება; 3 Burrow, 1067, King v. Barker, et al. როგორც ჩანს, ეს არის ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა შემთხვევის გაანალიზების შედეგი.

საქმე Rex v. Borough of Midhurst, 1 Wils. 283, ეხებოდა მანდამუსს, რომლის მიხედვითაც დაბის მიწის ნაკვეთის შემქმნათათვის უნდა გადაეცათ საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ გარკვეული დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც მიიღებდნენ პარლამენტის წევრებისთვის ხმის მიცემის უფლებას. საქმეში Rex v. Dr. Hay, 1 W. Bl. Rep. 640, მანდამუსი გაიცა პირისთვის ქონების მართვის უფლების მისაცემად.

მანდამუსი არ ანიჭებს მხარეს უფლებას, არამედ მხოლოდ აძლევს მას შესაძლებლობას, გამოიყენოს თავისი უფლება. Sid. 286.



მარშალის დასკვნა

დასკვნა: მოგვიანებით, 24 თებერვალს, მთავარმა მოსამართლემ გამოაცხადა სასამართლოს შემდეგი დასკვნა.

სასამართლოს დასკვნა.

ბოლო სესიაზე წაკითხული და სასამართლოს მდივნისთვის გადაცემული წერილობითი ჩვენებების საფუძველზე, მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფო მდივანს მოეთხოვებოდა მოსაზრებების წარმოდგენა, თუ რატომ არ უნდა გაცემულიყო მანდამუსი, რომელიც მას დაავალდებულებდა უილიამ მარბერისთვის კოლუმბიის ოლქში ვაშინგტონის ოლქის მომრიგებელ მოსამართლედ განწესების სიგელის გადაცემას.

მოსაზრებები არ იქნა წარმოდგენილი. ამიტომ, წინამდებარე შუამდგომლობა ეხება მანდამუსის გაცემას. მოცემული საქმის განსაკუთრებული დელიკატურობა, მისი ზოგიერთი გარემოების სიახლე და მასში წარმოქმნილი საკითხების სირთულე მოითხოვს იმ პრინციპების სრულ გადმოცემას, რომლებსაც ეყრდნობა სასამართლოს დასკვნა.

ეს პრინციპები მოსარჩელის მხრიდან ძალიან დამაჯერებლად იქნა არგუმენტირებული სასამართლოს სხდომაზე. სასამართლოს დასკვნის გამოტანისას, ადგილი ექნება ამ არგუმენტში ჩამოყალიბებული საკითხებიდან გარკვეულ გადახვევას, ფორმის თვალსაზრისით და არა არსის.

იმ თანმიმდევრობით, რომლითაც სასამართლომ მიუდგა ამ საკითხს, განხილული იქნა და გადაწყდა შემდეგი საკითხები.

პირველი, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება, მიიღოს რწმუნებათა სიგელი, რომელსაც ის ითხოვს?

მეორე, თუ მას ამის უფლება აქვს და ის დაირღვა, სთავაზობს თუ არა მისი ქვეყნის კანონმდებლობა მას სამართლებრივი დაცვის საშუალებას?

მესამე, თუ კანონმდებლობა მას სთავაზობს სამართლებრივი დაცვის საშუალებას, არის თუ არა ეს მანდამუსი, რომელსაც გასცემს ეს სასამართლო?

მოკვლევის პირველი საკითხია,

პირველი, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება, მიიღოს რწმუნებათა სიგელი, რომელსაც ის ითხოვს?

მისი უფლება გამომდინარეობს კონგრესის მიერ 1801 წლის თებერვალში მიღებული აქტიდან კოლუმბიის ოლქის შესახებ.

კოლუმბიის ოლქის ორ ოლქად დაყოფის შემდეგ, ამ კანონის მე-11 მუხლი ადგენს, რომ „თითოეულ აღნიშნულ ოლქში და თითოეული მათგანისთვის მომრიგებელ მოსამართლეებად ხუთწლიანი ვადით უნდა დაინიშნონ იმ რაოდენობის კეთილგონიერი პირები, რომელსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი დროდადრო მიზანშეწონილად ჩათვლის“.

წერილობითი ჩვენებებიდან ირკვევა, რომ, ამ კანონის დაცვით, ვაშინგტონის ოლქის მომრიგებელ მოსამართლედ უილიამ მარბერის განწესების სიგელს ხელი მოაწერა შეერთებული შტატების იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა, შემდეგ მასზე შეერთებული შტატების ბეჭედი იქნა დასმული, თუმცა რწმუნებათა სიგელს ადრესატამდე არასოდეს მიუღწევია.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა მას უფლება, მიიღოს აღნიშნული რწმუნებათა სიგელი, საჭიროა, გაირკვეს, დაინიშნა თუ არა ის ამ თანამდებობაზე. ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ მისი დანიშვნა განხორციელდა, კანონის თანახმად ის თანამდებობაზე რჩება ხუთი წლის განმავლობაში და მას აქვს უფლება, ფლობდეს თანამდებობაზე დანიშვნის დამადასტურებელ საბუთს, რომელიც გაფორმების შემდეგ მისი საკუთრება გახდა.

კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „პრეზიდენტი წარადგენს და სენატისგან რჩევისა და თანხმობის მიღების შემდეგ ნიშნავს ელჩებს, სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და კონსულებს, აგრეთვე შეერთებული შტატების ყველა სხვა მოხელეს, რომელთა დანიშვნის წესი არ არის სხვაგვარად განსაზღვრული.“

მესამე პუნქტში ნათქვამია, რომ „ის რწმუნებათა სიგელს ანიჭებს შეერთებული შტატების ყველა მოხელეს“.

კონგრესის აქტი ავალებს სახელმწიფო მდივანს, შეინახოს შეერთებული შტატების ბეჭედი, „მოამზადოს, აღრიცხოს და დასვას აღნიშნული ბეჭედი პრეზიდენტის მიერ, სენატის თანხმობით ან დამოუკიდებლად, დასანიშნი შეერთებული შტატების მოხელეების ყველა სამოქალაქო რწმუნებათა სიგელზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული ბეჭედი არ უნდა დაისვას არცერთ რწმუნებათა სიგელზე, სანამ მას ხელს არ მოაწერს შეერთებული შტატების პრეზიდენტი“.

ეს არის შეერთებული შტატების კონსტიტუციისა და კანონების მუხლები, რომლებიც საქმის ამ ნაწილს ეხება. როგორც ჩანს, ისინი ითვალისწინებს სამ სხვადასხვა მოქმედებას:

პირველი, კანდიდატის წარდგენა. ეს არის პრეზიდენტის ერთპიროვნული აქტი და ის სრულიად ნებაყოფლობითია.



მეორე, დანიშვნა. ეს ასევე არის პრეზიდენტის აქტი და ასევე არის ნებაყოფლობითი, თუმცა მისი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ სენატისგან რჩევისა და თანხმობის მიღების შემდეგ.

მესამე, რწმუნებათა სიგელის გადაცემა. თანამდებობაზე დანიშნული პირისთვის რწმუნებათა სიგელის მინიჭება შესაძლოა, ჩაითვალოს კონსტიტუციით დაკისრებულ მოვალეობად. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ის რწმუნებათა სიგელს ანიჭებს შეერთებული შტატების ყველა მოხელეს.“

თანამდებობაზე დანიშვნისა და დანიშნული პირისთვის რწმუნებათა სიგელის მინიჭების აქტები ძნელად თუ ჩაითვლება ერთ და იმავე მოქმედებად, ვინაიდან მათი შესრულების უფლებამოსილება გათვალისწინებულია კონსტიტუციის ორი სხვადასხვა პუნქტით. დანიშვნასა და რწმუნებათა სიგელის მინიჭებას შორის განსხვავებას ნათლად დავინახავთ, თუ მოვიშველიებთ კონსტიტუციის მეორე მუხლის მეორე პუნქტის იმ დებულებას, რომელიც უფლებას აძლევს კონგრესს, „მხოლოდ პრეზიდენტს, სასამართლოებს ან დეპარტამენტების ხელმძღვანელებს მიანიჭოს კანონით ისეთი ქვემდგომი მოხელეების დანიშვნის უფლებამოსილება, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ სათანადოდ.“ ამდენად, გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს შეიძლება კანონით დაეკისროს რწმუნებათა სიგელის ისეთი პირისთვის მინიჭება, რომელსაც დანიშნავს სასამართლო ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ასეთ შემთხვევაში, რწმუნებათა სიგელის გაცემა, ცხადია, დანიშვნისგან განსხვავებული ფუნქციაა, რომლის შესრულებაზე, ალბათ, იურიდიულად არ შეიძლება უარის თქმა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ის დებულება, რომელიც პრეზიდენტისგან მოითხოვს შეერთებული შტატების ყველა მოხელისთვის რწმუნებათა სიგელის მინიჭებას, შესაძლოა, არასოდეს გამოყენებულა პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელეების გარდა სხვა პირების მიმართ, ძნელი იქნება კანონმდებლის უფლების უარყოფა, გაავრცელოს ის მსგავს შემთხვევებზე. შესაბამისად, კონსტიტუციური განსხვავება დანიშვნასა და დანიშნული მოხელისთვის რწმუნებათა სიგელის მინიჭებას შორის ისეთივე რჩება, როგორც იმ შემთხვევაში, თუ სინამდვილეში პრეზიდენტი სხვა ხელისუფლების ორგანოს მიერ და არა მისი ნებით დანიშნულ მოხელეებს მიანიჭებდა რწმუნებათა სიგელებს.

ამ განსხვავებიდან ასევე გამომდინარეობს, რომ, თუ აუცილებელი იქნებოდა დანიშვნის საჯარო აქტით დადასტურება, გარდა რწმუნებათა სიგელისა, ასეთი საჯარო აქტის შესრულება წარმოშობდა მოხელის არსებობის აუცილებლობას, ხოლო თუ მისი თანამდებობიდან განთავისუფლება არ იქნებოდა დამოკიდებული

პრეზიდენტის ნებაზე, აღნიშნული მისცემდა მას საკუთარი რწმუნებათა სიგელის მიღების უფლებას, ან თავისი მოვალეობების რწმუნებათა სიგელის გარეშე შესრულების საშუალებას.

ეს მოსაზრებები მოყვანილია მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ უფრო გასაგები გახდეს ის მოსაზრებები, რომლებიც უფრო უშუალოდ ეხება კონკრეტულ განსახილველ საქმეს.

ეს არის დანიშვნა, რომელსაც პრეზიდენტი ახორციელებს სენატისგან რჩევისა და თანხმობის მიღების შემდეგ და დასტურდება არა აქტით, არამედ თვით რწმუნებათა სიგელით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, რწმუნებათა სიგელის მინიჭება და დანიშვნა განუყოფლად მიიჩნევა. რწმუნებათა სიგელის არსებობის დადასტურების გარდა სხვა გზით დანიშვნის დამტკიცება თითქმის შეუძლებელია. ამავ დროს, აუცილებელი არაა, რომ რწმუნებათა სიგელი იყოს დანიშვნა, თუმცა ის წარმოადგენს მის უდავო მტკიცებულებას.

მაგრამ რა ეტაპზე წარმოადგენს ის ამ უდავო მტკიცებულებას?

ამ კითხვაზე პასუხი ცხადია. დანიშვნა, როგორც პრეზიდენტის ერთპიროვნული აქტი, უნდა იყოს სრულად დადასტურებული, როდესაც საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რაც უნდა შეესრულებინა.

თუ რწმუნებათა სიგელის მინიჭება განიხილებოდა დანიშვნის შემადგენელ ნაწილად და არა დანიშვნის მტკიცებულებად, ის მაინც განხორციელდებოდა პრეზიდენტის მიერ ბოლო აქტის შესრულებისას ან, უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც დასრულდებოდა რწმუნებათა სიგელის მინიჭების პროცესი.

პრეზიდენტის მიერ შესასრულებელი ბოლო აქტი არის რწმუნებათა სიგელის ხელმოწერა. ასეთ შემთხვევაში ის მოქმედებს მის მიერ წარდგენილ კანდიდატურასთან დაკავშირებით სენატისგან მიღებული რჩევისა და თანხმობის შესაბამისად. შემდეგ განხილვის დრო გადის. ის იღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება მიიღება სენატის რჩევისა და თანხმობის საფუძველზე, რომლებიც თანხვედრაშია მის მიერ განხორციელებულ წარდგენასთან, და მოხელე ინიშნება. დანიშვნა დასტურდება ღია, არაორაზროვანი აქტით და, ვინაიდან ეს არის ბოლო აქტი, რომელიც უნდა შეასრულოს პირმა, ის უთუოდ გამორიცხავს იმ აზრს, რომ დანიშვნასთან მიმართებით ეს გარიგება არის არასრულყოფილი და დაუსრულებელი.

დროის გარკვეულ მომენტში აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება იმ მოხელის მიმართ, რომლის თანამდებობიდან გადაყენება არ ხდება მისი ნებით, წყდება. დროის ეს მომენტი უნდა დადგეს, როდესაც განხორციელდე-



ბა დანიშვნის კონსტიტუციური უფლებამოსილება, ხოლო ეს უფლებამოსილება ხორციელდება მაშინ, როდესაც პირი, რომელიც ფლობს ამ უფლებამოსილებას, ასრულებს ბოლო აქტს. ეს ბოლო აქტი არის რწმუნებათა სიგელის ხელმოწერა. როგორც ჩანს, ეს იდეა პრევალირებდა საკანონმდებლო ორგანოში, როდესაც მიიღეს აქტი, რომლითაც საგარეო საქმეთა დეპარტამენტი [*158] გარდაიქმნა სახელმწიფო დეპარტამენტად. ამ აქტით დადგენილია, რომ სახელმწიფო მდივანმა უნდა შეინახოს შეერთებული შტატების ბეჭედი, „ასევე მოამზადოს და აღრიცხოს და დასვას აღნიშნული ბეჭედი პრეზიდენტის მიერ დასანიშნი შეერთებული შტატების მოხელეების ყველა სამოქალაქო რწმუნებათა სიგელზე.“ „იმ პირობით, რომ აღნიშნული ბეჭედი არ უნდა დაისვას არცერთ რწმუნებათა სიგელზე მანამ, სანამ მას ხელს არ მოაწერს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, და არც რომელიმე სხვა დოკუმენტზე ან აქტზე პრეზიდენტის სპეციალური განკარგულების გარეშე“.

ხელმოწერა წარმოადგენს რწმუნებათა სიგელზე დიდი ბეჭდის დასმის განკარგულებას. დიდი ბეჭედი კი უნდა დაისვას მხოლოდ დასრულებულ დოკუმენტზე. ის საყოველთაოდ ცნობილი აქტით ამტკიცებს პრეზიდენტის ხელმოწერის ნამდვილობას.

დიდი ბეჭედი არასოდეს არ უნდა დაისვას რწმუნებათა სიგელის ხელმოწერამდე, ვინაიდან ხელმოწერა, რომელიც რწმუნებათა სიგელს ანიჭებს ძალას და მოკყავს მოქმედებაში, წარმოადგენს იმის უდავო მტკიცებულებას, რომ დანიშვნა განხორციელდა.

რწმუნებათა სიგელის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფო მდივნის შემდგომი მოვალეობა განსაზღვრულია კანონით და არ არის დამოკიდებული პრეზიდენტის ნებაზე. მან რწმუნებათა სიგელზე უნდა დასვას შეერთებული შტატების ბეჭედი და აღრიცხოს ის.

ეს არ არის პროცედურა, რომლის შეცვლაც შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სხვა შესაფერისი საშუალების შემოთავაზების შემთხვევაში, არამედ ეს არის კანონით მკაფიოდ განსაზღვრული წესი, რომელიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული. სახელმწიფო მდივნის მოვალეობაა, დაიცვას კანონი და ამ პროცესში ის არის შეერთებული შტატების მოხელე, რომელიც ვალდებულია, დაემორჩილოს კანონებს. ამ მხრივ, ის მოქმედებს, როგორც სწორად აღინიშნა სასამართლოს სხდომაზე, კანონის საფუძველზე და არა პრეზიდენტის მითითებებით. ეს არის სამსახურებრივი მოვალეობა, რომლის შესრულების ვალდებულებას კანონი კონკრეტულ მოხელეს კონკრეტული მიზნისთვის უწესებს.

თუ ვივარაუდებთ, რომ ბეჭდის დასმის ცერემონია აუცილებელია არა მხოლოდ რწმუნებათა სიგელის ნამდვილობისთვის, არამედ ასევე დანიშვნის პროცედურა

რის დასასრულებლად, ბეჭდის დასმით მაინც ხორციელდება დანიშვნა, ხოლო რწმუნებათა სიგელი იძენს ძალას. კანონი რაიმე სხვა ფორმალობას არ ითვალისწინებს. მთავრობას რაიმე სხვა მოქმედების შესრულება არ ევალება. ყველაფერი, რისი გაკეთებაც აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია პირის თანამდებობაზე დასანიშნად, უკვე გაკეთდა; ხოლო თუ შემდეგ დანიშვნა არ განხორციელდება, აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ შეძლებს ამის გაკეთებას სხვებთან თანამშრომლობის გარეშე.

იმ პრინციპების ბევრი ძიების შემდეგ, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოს საპირისპირო მოსაზრება, ვერ მოიძებნა ვერც ერთი პრინციპი, რომელსაც ექნებოდა საკმარისი ძალა საპირისპირო დოქტრინის მხარდასაჭერად.

ყველა საკითხი, რომელიც სასამართლოს შეეძლო ევარაუდა, ძალიან ზედმიწევნით იქნა განხილული, და შესაძლებლობის ფარგლებში მათი გათვალისწინების შემდეგ სასამართლოს დასკვნა ურყევი დარჩა.

ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა ვარაუდი, რომ რწმუნებათა სიგელი შეიძლება გათანაბრებულ იქნეს ისეთ საბუთთან, რომლის ნამდვილობისთვისაც აუცილებელია პირისთვის მისი გადაცემა. ეს იდეა ემყარება იმ ვარაუდს, რომ რწმუნებათა სიგელი არა მხოლოდ დანიშვნის მტკიცებულებაა, არამედ ის თვითონ წარმოადგენს ფაქტობრივ დანიშვნას, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის უდავო. მაგრამ ამ საწინააღმდეგო მოსაზრების სამართლიანად შესწავლის მიზნებისთვის დავუშვათ, რომ პრინციპი, რომელიც მის დასასაბუთებლად გამოიყენება, დამკვიდრებულია.

თუ, კონსტიტუციის თანახმად, დანიშვნა უნდა განხორციელდეს პრეზიდენტის მიერ პირადად, დანიშვნის შესახებ დოკუმენტის გადაცემა, თუ ეს აუცილებელია დანიშვნის დასრულებისთვის, ასევე უნდა განხორციელდეს პრეზიდენტის მიერ. არ არის აუცილებელი, რომ ფორმალური გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც დაიკავებს თანამდებობას, მოხდეს პირადად: ეს ასე არასოდეს არ ხდება. კანონი, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ რწმუნებათა სიგელი უნდა გადაეცეს სახელმწიფო მდივანს, რადგან კანონი მდივანს აკისრებს რწმუნებათა სიგელზე ბეჭდის დასმას პრეზიდენტის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ. თუკი რწმუნებათა სიგელის ნამდვილობისთვის საჭიროა ფორმალური გადაცემის აქტი, მისი გადაცემა უკვე მოხდა, როდესაც ის გაფორმდა და მიეწოდა მდივანს ბეჭდის დასასმელად, აღსარიცხად და მხარისთვის ჩასაბარებლად.

თუმცა, ყველა შემთხვევაში, რომელიც წყალობის სიგელს ეხება, კანონი ითვალისწინებს გარკვეულ ფორმალურ პროცედურებს, რომლებიც წარმოადგენს დოკუმენტის ნამდვილობის მტკიცებულებებს. პირისთვის ოფიციალური გადაცემა არ შედის მათ რიცხვში. რწმუნებათა სიგელების შემთხვევაში ეს ფორმალური



პროცედურებია პრეზიდენტის საკუთარი ხელმოწერა და შეერთებული შტატების ბეჭედი. შესაბამისად, ეს შედავება მოცემულ საქმეს არ ეხება.

გარდა ამისა, არსებობდა ვარაუდი, რომ რწმუნებათა სიგელის ჩაბარება და მისი მიღება შეიძლება საჭიროდ იქნეს მიჩნეული მოსარჩელის უფლების სრული განხორციელებისთვის.

რწმუნებათა სიგელის ჩაბარება არის პრაქტიკა, რომელიც განპირობებულია მოხერხებულობით და არა კანონით. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, რომ ის წარმოადგენდეს დანიშვნის ნაწილს. დანიშვნა მას უნდა უსწრებდეს და არის მხოლოდ პრეზიდენტის აქტი. თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მოითხოვდა, რომ თანამდებობაზე დანიშნულმა პირმა თავად უნდა მიიღოს ზომები საკუთარი რწმუნებათა სიგელის მისაღებად, დანიშვნა ამის გამო ნაკლები ძალის მქონე არ იქნებოდა. დანიშვნა არის პრეზიდენტის ერთპიროვნული აქტი, რწმუნებათა სიგელის ჩაბარება კი არის იმ მოხელის ერთპიროვნული აქტი, რომელსაც ეკისრება ეს მოვალეობა. ის შეიძლება დააჩქაროს ან შეაფერხოს გარემოებებმა, რომლებიც დანიშვნაზე გავლენას ვერ მოახდენს. რწმუნებათა სიგელი ჰბარდება უკვე დანიშნულ და არა დასანიშნ პირს. რწმუნებათა სიგელზე თანდართული წერილი უნდა მოხვდეს ფოსტაში და ადრესატამდე უსაფრთხოდ მიაღწიოს.

ამ საკითხის გასარკვევად შეიძლება დაისვას კითხვა, აუცილებელია თუ არა რწმუნებათა სიგელის დედნის ფლობა იმისთვის, რომ ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშნულ პირს მიეცეს უფლება, შეასრულოს ამ თანამდებობის მოვალეობები. თუ აღნიშნული იქნებოდა საჭირო, მაშინ რწმუნებათა სიგელის დაკარგვა თანამდებობის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. არა მხოლოდ დაუდევრობა, არამედ ასევე უბედური შემთხვევა თუ თაღლითობა, ხანძარი თუ ქურდობა დააკარგვინებდა პირს თავის თანამდებობას. ასეთ შემთხვევაში, მე ვვარაუდობ, რომ ექვეარეშეა, სახელმწიფო მდივნის ოფისის მიერ წარმოებული ჩანაწერის ასლი ყველა მხრივ დედნის ტოლფასი იქნებოდა. კონგრესის აქტი ამას ცალსახად ითვალისწინებს. ამ ასლისთვის კანონიერი ძალის მისანიჭებლად არ იქნებოდა საჭირო იმის დამტკიცება, რომ დედანი ჩაჰბარდა პირს და შემდეგ დაიკარგა. ასლი იქნებოდა იმის სრული მტკიცებულება, რომ დედანი არსებობდა და დანიშვნა განხორციელდა, მაგრამ არა იმისა, რომ დედანი პირს ჩაჰბარდა. თუ აღმოჩნდება, რომ დედანი დაიკარგა სახელმწიფო უწყებაში, ეს გარემოება არ მოახდენს გავლენას ასლის მოქმედებაზე. როდესაც ყველა ის მოთხოვნა, რომელიც აღმრიცხველს აძლევს ნებისმიერი დოკუმენტის აღრიცხვის უფლებას, შესრულებულია, და შესაბამისი ბრძანება გამოცემულია, დოკუმენტი იურიდიული თვალსაზრისით ითვლება აღრიცხულად, იმის მიუხედავად, შესრულდა თუ არა ფიზიკური მოქმედება შესაბამის ქურნალში მის შესატანად.

რწმუნებათა სიგელების შემთხვევაში კანონი სახელმწიფო მდივანს ავალდებულებს მათ აღრიცხვას. ამიტომ მათი ხელმოწერისა და მათზე ბეჭდის დასმის შემდეგ გამოიცემა ბრძანება მათი აღრიცხვის შესახებ და ისინი იურიდიული თვალსაზრისით აღრიცხულად ითვლება იმის მიუხედავად, ჩაიწერა თუ არა ისინი ჟურნალში.

ამ ჩანაწერის ასლი დედნის ტოლფასია, ხოლო ასლის მიღების მსურველი პირის მიერ გადასახდელი საფასური დადგენილია კანონით. შეუძლია თუ არა საჯარო ჩანაწერების მწარმოებელ პირს უკვე აღრიცხული რწმუნებათა სიგელის ამოშლა? ან შეუძლია თუ არა მას უარი უთხრას მისი ასლის გაცემაზე იმ პირს, რომელიც მას ითხოვს კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად?

ასეთი ასლი, ისევე როგორც დედანი, მომრიგებელ მოსამართლეს მისცემდა უფლებას, შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას, ვინაიდან ის, ისევე როგორც დედანი, დაადასტურებდა მის დანიშვნას.

თუ რწმუნებათა სიგელის ჩაბარება არ ჩაითვლებოდა დანიშვნის ნამდვილობის აუცილებელ პირობად, მაშინ, მით უმეტეს, არც მისი მიღება ჩაითვლებოდა. დანიშვნა არის პრეზიდენტის ერთპიროვნული აქტი; მიღება კი არის მოხელის ერთპიროვნული აქტი და, საღ აზრზე დაყრდნობით, მოსდევს დანიშვნას. მას შეუძლია უარი თქვას რწმუნებათა სიგელის მიღებაზე ისევე, როგორც შეუძლია გადადგეს, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ გახდის დანიშვნას ბათილს.

ის, რომ მთავრობას ასე ესმის ეს საკითხი, მისი მოქმედებებიდან ჩანს.

რწმუნებათა სიგელზე დატანილია თარიღი, მაგრამ მოხელის ხელფასი იწყება მისი დანიშვნის დღიდან და არა რწმუნებათა სიგელის ჩაბარების ან მიღების დღიდან. როდესაც რომელიმე თანამდებობაზე დანიშნული პირი უარს ამბობს ამ თანამდებობის მიღებაზე, შემცველის დასახელება იმ პირის ადგილზე ხდება, რომელმაც უარი თქვა მიღებაზე, და არა იმ პირის ადგილზე, რომელსაც მანამდე ეკავა ეს თანამდებობა და მისი დატოვებით წარმოშვა თავდაპირველი ვაკანსია.

ამიტომ, სასამართლოს მტკიცე მოსაზრებაა, რომ, როდესაც პრეზიდენტი რწმუნებათა სიგელს აწერს ხელს, ხორციელდება დანიშვნა; და რომ რწმუნებათა სიგელი დასრულებულია, როდესაც სახელმწიფო მდივანი მასზე შეერთებული შტატების ბეჭედს სვამს.

თუ მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ნებით ხდება, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა გარემოებით მთავრდება მისი დანიშვნა, ვინაიდან ამ აქტის გაუქმება შეიძლება ნებისმიერ დროს, ხოლო რწმუნებათა სიგელის შეჩერება შეიძლება, თუ ის ჯერ კიდევ ოფისშია. მაგრამ, როდესაც მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება არ ხდება აღმასრულებელი ხე-



ლისუფლების ნებით, დანიშვნა გაუქმებას არ ექვემდებარება და მისი ანულირება შეუძლებელია. ის ანიჭებს კანონიერ უფლებებს, რომელთა აღდგენაც შეუძლებელი იქნება.

აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეცია უნდა განხორციელდეს დანიშვნამდე. მაგრამ დანიშვნის შემდეგ თანამდებობასთან მიმართებით მისი უფლებამოსილება წყდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც, კანონის თანახმად, მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ნებით არ ხდება. ასეთ შემთხვევაში თანამდებობასთან დაკავშირებული უფლება ეკუთვნის თავად დანიშნულ პირს და მას აქვს აბსოლუტური, უპირობო უფლება, მიიღოს თანამდებობა ან უარი თქვას მის მიღებაზე.

მაშასადამე, ადგილი ჰქონდა ბ-ნი მარბერის თანამდებობაზე დანიშვნას, ვინაიდან პრეზიდენტმა მის რწმუნებათა სიგელს ხელი მოაწერა, ხოლო სახელმწიფო მდივანმა ბეჭედი დასვა; აგრეთვე, ვინაიდან იმ კანონის თანახმად, რომლითაც შეიქმნა ეს თანამდებობა, მოხელე თანამდებობას ხუთი წლის ვადით იკავებდა აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისგან დამოუკიდებლად, მისი დანიშვნა გაუქმებას არ ექვემდებარებოდა და ანიჭებდა კანონიერ უფლებებს, რომლებსაც იცავს მისი ქვეყნის კანონმდებლობა.

შესაბამისად, მისი რწმუნებათა სიგელის გაცემაზე უარის თქმას სასამართლო მიიჩნევს იმ ქმედებად, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული და არღვევს მინიჭებულ კანონიერ უფლებას.

ამას ჩვენ მივყავართ მეორე კითხვამდე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში.

თუ მას აქვს უფლება და ეს უფლება დაირღვა, სთავაზობს თუ არა მისი ქვეყნის კანონმდებლობა მას სამართლებრივი დაცვის საშუალებას?

სამოქალაქო თავისუფლების არსი, რა თქმა უნდა, მდგომარეობს ყოველი ადამიანის უფლებაში, დაცულ იქნეს კანონმდებლობით მისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ამ დაცვის უზრუნველყოფა. დიდ ბრიტანეთში თავად მეფესაც უჩივიან პეტიციის თავაზიანი ფორმით და ის არასოდეს ამბობს უარს თავისი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე.

თავისი კომენტარების მე-3 ტომში, გვ. 23, ბლექსტონს მოჰყავს ორი შემთხვევა, სადაც სამართლებრივი დაცვის საშუალება უზრუნველყოფილია მხოლოდ კანონის ძალით.

ის ამბობს, რომ „ყველა სხვა შემთხვევაში ზოგადი და უდავო წესია, რომ იქ, სადაც არსებობს კანონიერი უფლება, ასევე არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალებ-

ება სასამართლო პროცესის ან სასამართლო სარჩელის სახით, როცა ეს უფლება ირღვევა“.

და შემდეგ, იმავე ტომის 109-ე გვერდზე, ის ამბობს: „შემდეგში მე განვიხილავ ზიანის ისეთ სახეობებს, რომლებიც საერთო სამართლის სასამართლოების განსჯადია. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ყველა შესაძლო ზიანი, რომელიც არ შევიდა არც საეკლესიო, არც სამხედრო და არც საზღვაო ტრიბუნალის განსაკუთრებულ განსჯადობაში, სწორედ ამ მიზეზით მიეკუთვნება საერთო სამართლის სასამართლოების განსჯადობას, რადგან ინგლისის კანონმდებლობას საფუძვლად უდევს კარგად დამკვიდრებული და უცვლელი პრინციპი, რომ ყოველი უფლებისთვის, მისი დარღვევის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სამართლებრივი დაცვის საშუალება, ხოლო ყოველი ზიანისთვის – მისი სათანადო კომპენსაცია“.

შეერთებული შტატების მთავრობას მკაფიოდ ეწოდა კანონების მთავრობა და არა ხალხის მთავრობა. ის, რა თქმა უნდა, ამ მაღალ წოდებას აღარ დაიმსახურებს, თუ კანონით გათვალისწინებული უფლების დარღვევისთვის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

თუ ეს შეურაცხყოფა ჩვენი ქვეყნის იურისპრუდენციას თავს უნდა დაატყდეს, ეს ამ საქმის სპეციფიკური ხასიათით უნდა იყოს გამოწვეული.

ამიტომ ჩვენი მოვალეობა იმის გარკვევაა, არის თუ არა ამ საქმის შემადგენლობაში ისეთი კომპონენტი, რომელიც გამორიცხავდა საქმის გამოძიებას ან დაზარალებული მხარისთვის ზიანის ანაზღაურებას. ამ მოკვლევის განხორციელებისას პირველი კითხვა, რომელიც ჩნდება, არის, შესაძლებელია თუ არა, რომ ეს საქმე მიეკუთვნოს იმ კატეგორიას, რომელიც შეესაბამება *damnum absque injuria*-ის (ზიანი იურიდიული უფლების დარღვევის გარეშე) აღწერას.

საქმეების ეს კატეგორია არასოდეს განხილულა და, სავარაუდოდ, ვერასოდეს განიხილება როგორც ნდობითი, საპატიო ან ანაზღაურებადი თანამდებობების მომცველი. კოლუმბიის ოლქის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა ასეთ თანამდებობას წარმოადგენს; ამიტომ, ის იმსახურებს ყურადღებას და კანონმდებლობით დაცვას. მან მიიღო ეს ყურადღება და დაცვა. ის შექმნილია კონგრესის სპეციალური აქტის საფუძველზე და ამ თანამდებობაზე დანიშნული პირისთვის ხუთი წლის ვადითაა გარანტირებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია კანონმდებლობით. აქ იმას ვერ ვიტყვით, რომ დაზარალებული მხარე სამართლებრივი დაცვის საშუალებას მოკლებულია სარჩელის საგნის უსარგებლობის გამო.

დამახასიათებელია თუ არა ეს ამ სახის გარიგებისთვის? უნდა ჩაითვალოს თუ



არა რწმუნებათა სიგელის გადაცემა ან გადაცემაზე უარის თქმა უბრალო პოლიტიკურ აქტად, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების დეპარტამენტის პრეროგატივას და რომლის შესასრულებლადაც ჩვენი კონსტიტუცია სრულ ნდობას ანიჭებს უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და რომელთან მიმართებითაც ნებისმიერი გადაცდომის შემთხვევაში დაზარალებულ პირს არ გააჩნია სამართლებრივი დაცვის საშუალება?

ის, რომ ასეთი შემთხვევები შეიძლება არსებობდეს, ეჭვგარეშეა, მაგრამ არ უნდა იქნეს დაშვებული ის, რომ მთავრობის ნებისმიერი მსხვილი დეპარტამენტის მიერ შესასრულებელი მოვალეობის ყოველი აქტი წარმოადგენდეს ასეთ შემთხვევას.

ინვალიდების შესახებ აქტით, რომელიც მიღებულია 1794 წლის ივნისში, ტ. 3, გვ. 112, სამხედრო მინისტრს ევალება საპენსიო სიაში ყველა იმ პირის შეყვანა, რომელთა სახელებიც შეტანილია კონგრესისთვის მის მიერ წარდგენილ ანგარიშში. თუ ის უარს იტყვის ამის გაკეთებაზე, დარჩება თუ არა დაჭრილი ვეტერანი სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე? შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ იქ, სადაც კანონი ზუსტი ტერმინებით მოითხოვს იმ მოქმედების შესრულებას, რომელშიც პირი არის დაინტერესებული, კანონს არ შეუძლია უზრუნველყოს, რომ დაცული იქნეს მისი მოთხოვნები? უკავშირდება თუ არა ეს იმ პირის ხასიათს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი? შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ დეპარტამენტების ხელმძღვანელები არ ემორჩილებიან თავიანთი ქვეყნის კანონებს?

როგორც არ უნდა იყოს პრაქტიკა კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ამ პრინციპის თეორია, რასაკვირველია, არასოდეს დარჩება უცვლელი. საკანონმდებლო ორგანოს არცერთი აქტი არ ითვალისწინებს ასეთ განსაკუთრებულ პრივილეგიას და მას არც საერთო სამართლის დოქტრინები არ უჭერს მხარს. იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ მეფის მიერ ქვეშევრდომის მიმართ ფიზიკური ზიანის მიყენება, სავარაუდოდ, შეუძლებელია, ბლექსტოუნი ამბობს, ტ. 3, გვ. 255: „მაგრამ მეფეს ძნელად თუ შეუძლია მიაყენოს ზიანი საკუთრების უფლებებს თავისი მოხელეების ჩაურევლად, რომელთა მიმართაც კანონი უფლებების საკითხებში არ ავლენს არც პატივისცემას და არც ტაქტს, არამედ ითვალისწინებს იმ სუბიექტთა შეცდომებისა და გადაცდომების გამოვლენის სხვადასხვა ხერხს, რომლებმაც მეფე შეცდომაში შეიყვანეს და აიძულეს დროებითი უსამართლობის ჩადენა“.

1796 წელს მიღებული აქტით, რომელიც იძლევა მდინარე კენტუკის შესართავის ზემოთ მდებარე მიწების გაყიდვის ნებართვას (ტ. 3, გვ. 299), მყიდველი, შესასყიდი თანხის გადახდისას, იძენს საკუთრების სრულ უფლებას შეძენილ ქონებაზე, ხოლო სახელმწიფო მდივნისთვის ხაზინადრის მიერ კანონით გათვალისწინებული მოწმობის საფუძველზე გაცემული ხელწერილის წარდგენისას შეერთებული

შტატების პრეზიდენტი უფლებამოსილია მყიდველზე გასცეს პატენტი. ის ასევე ადგენს, რომ ყველა პატენტის თანახელმოწერას სახელმწიფო მდივანი ახდენს და არეგისტრირებს მათ თავის ოფისში. თუ სახელმწიფო მდივანი გადაწყვეტს, არ გასცეს ეს პატენტი, ან თუ პატენტი დაკარგულია, უნდა ეთქვას თუ არა პირს უარი მისი ასლის გაცემაზე? შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ კანონი დაზარალებული პირისთვის არ უზრუნველყოფდეს სამართლებრივი დაცვის არანაირ საშუალებას?

დაუჯერებელია, რომ ვინმე შეეცდება ასეთი ვარაუდის მხარდაჭერას.

აქედან გამომდინარეობს, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, ექვემდებარება თუ არა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ქმედების კანონიერება სასამართლოში განხილვას, ყოველთვის უნდა იყოს დამოკიდებული ამ ქმედების არსზე.

თუ სასამართლო ზოგიერთ ქმედებას განიხილავს, ზოგიერთს კი – არა, აუცილებელია, რომ არსებობდეს გარკვეული სამართლებრივი ნორმა, რომლითაც იხელმძღვანელებდა სასამართლო საკუთარი იურისდიქციის განხორციელებისას.

ზოგჯერ შეიძლება რთული იყოს აღნიშნული ნორმის კონკრეტული შემთხვევების მიმართ გამოყენება, მაგრამ ნორმის დადგენა, ალბათ, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

შეერთებული შტატების კონსტიტუციით პრეზიდენტს მინიჭებული აქვს გარკვეული მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებისას მან უნდა გამოიყენოს საკუთარი დისკრეციული უფლება და თავისი პოლიტიკური ქმედებებისთვის ის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე. იმისთვის, რომ მას დაეხმარონ ამ მოვალეობების შესრულებაში, ის უფლებამოსილია, დანიშნოს მოხელეები, რომლებიც იმოქმედებენ მისი უფლებამოსილებით და მისი ბრძანებების შესაბამისად.

ასეთ შემთხვევებში მათი ქმედებები მის ქმედებებზე განიხილება და, როგორც არ უნდა იყოს მოსაზრება აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციული უფლების გამოყენების ფორმასთან დაკავშირებით, მაინც არ არსებობს და ვერ იარსებებს ამ დისკრეციული უფლების მაკონტროლებელი ძალა. ისინი არიან პოლიტიკით დაინტერესებული სუბიექტები. ისინი პატივს სცემენ ერს და არა ინდივიდუალურ უფლებებს და, ვინაიდან ისინი ენდობიან აღმასრულებელ ხელისუფლებას, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება საბოლოოა. ამ შენიშვნის გამოყენება გასაგები გახდება, თუ მოვიშველიებთ კონგრესის აქტს საგარეო საქმეთა დეპარტამენტის შექმნის შესახებ. ეს თანამდებობა, ვინაიდან მისი მოვალეობები ამ აქტით განისაზღვრა, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს პრეზიდენტის ნებას. ის უბრალოდ წარმოადგენს ორგანოს, რომლის მეშვეობითაც გადმოიცემა



მისი ნება. ასეთი პირის, როგორც მოხელის, ქმედებები არასოდეს არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

მაგრამ, როდესაც საკანონმდებლო ორგანო ამ მოხელეს სხვა მოვალეობებსაც აკისრებს, როდესაც მას ავალდებულებს გარკვეული ქმედებების შესრულებას, როდესაც ადამიანის უფლებები დამოკიდებულია ამ ქმედებების შესრულებაზე, ის ჯერ კიდევ არის კანონის მსახური მოხელე, რომელიც თავისი ქცევისთვის პასუხს აგებს კანონის წინაშე და მას არ შეუძლია საკუთარი ნება-სურვილით სხვებს ჩამოართვას კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ, როდესაც დეპარტამენტების ხელმძღვანელები არიან აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური ან ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები, რომლებსაც ევალებათ უბრალოდ პრეზიდენტის ნების შესრულება ან ისეთ შემთხვევებში მოქმედება, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ფლობს კონსტიტუციურ ან იურიდიულ დისკრეციას, არაფერი შეიძლება იყოს იმაზე უფრო მკაფიო, ვიდრე ის, რომ მათი ქმედებები ექვემდებარება განხილვას მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს კონკრეტულ მოვალეობას და ადამიანის უფლებები დამოკიდებულია ამ მოვალეობის შესრულებაზე, ანალოგიურად მკაფიოა ის ფაქტი, რომ პირს, რომელიც საკუთარ თავს დაზარალებულად თვლის, აქვს უფლება, მიმართოს თავისი ქვეყნის კანონმდებლობას სამართლებრივი დაცვის საშუალების მისაღებად.

თუ ეს უნდა იყოს წესი, მოდით გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გამოიყენება ის სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის მიმართ.

სენატში კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება და წარდგენილი პირის დანიშვნის უფლებამოსილება წარმოადგენს პოლიტიკურ უფლებამოსილებას, რომელსაც პრეზიდენტი თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს. დანიშვნისას მან განახორციელა მთელი თავისი უფლებამოსილება, მისი დისკრეციული უფლება კი სრულად იქნა გამოყენებული მოცემული საქმის მიმართ. თუ კანონით მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება პრეზიდენტის ნებით ხდება, მაშინ ახალი დანიშვნა შეიძლება მაშინვე განხორციელდეს, ხოლო მოხელეს უფლებები უწყდება. მაგრამ, ვინაიდან შეუძლებელია იმ ფაქტის, რომელიც არსებობდა, ისე წარმოჩენა თითქოს არასოდეს უარსებია, დანიშვნა ვერ გაუქმდება. შესაბამისად, თუ კანონით მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება პრეზიდენტის ნებით არ ხდება, მის მიერ შემენილი უფლებები დაცულია კანონით და არ ექვემდებარება პრეზიდენტის მიერ აღდგენას. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია მათი ანულირება, ხოლო მოხელეს აქვს პრივილეგია, დაიცვას ისინი ისე, როგორც დაიცავდა სხვა წყაროდან მიღებულ უფლებებს.

იქნა თუ არა უფლება მინიჭებული – ეს საკითხი თავისი ბუნებით სასამართლოს-თანაა დაკავშირებული და ის სასამართლო ხელისუფლების ორგანომ უნდა განიხილოს. თუ, მაგალითად, ბ-ნი მარბერი დადებდა მაგისტრატის ფიცს და შეუდგებოდა მაგისტრატის ფუნქციების შესრულებას, რის გამოც მის წინააღმდეგ აღიძვრებოდა საქმე, რომელშიც მისი დაცვა დაეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ ის არის მაგისტრტი, მისი დანიშვნის ნამდვილობის საკითხი სასამართლო ხელისუფლების ორგანოს უნდა გადაეწყვიტა.

ამრიგად, თუ ის ფიქრობს, რომ მისი დანიშვნის საფუძველზე მას აქვს კანონიერი უფლება ან რწმუნებათა სიგელზე, რომელიც მისთვის მომზადდა, ან ამ დოკუმენტის ასლზე, მაშინ ეს საკითხი, ანალოგიურად, სასამართლომ უნდა განიხილოს, ხოლო ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს თავის მოსაზრებას მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

ეს საკითხი განხილულ იქნა და მოსაზრება არის ის, რომ დროის ყველაზე ბოლო წერტილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მომენტად, როდესაც დანიშვნა დასრულდა და დადასტურდა, იყო მაშინ, როდესაც პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ რწმუნებათა სიგელზე დაისვა შეერთებული შტატების ბეჭედი.

შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებაა:

პირველი, რომ ბ-ნი მარბერის რწმუნებათა სიგელის ხელმოწერით შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ის დანიშნა კოლუმბიის ოლქში ვაშინგტონის ოლქის მომრიგებელ მოსამართლედ; რომ შეერთებული შტატების ბეჭედი, რომელიც მასზე დასვა სახელმწიფო მდივანმა, არის ხელმოწერის ნამდვილობისა და დანიშვნის დასრულების უტყუარი მტკიცებულება და რომ ამ დანიშვნით მას მიენიჭა თანამდებობის ხუთი წლის ვადით დაკავების კანონიერი უფლება.

მეორე, რომ თანამდებობაზე კანონიერი უფლების ქონის შედეგად მას აქვს უფლება რწმუნებათა სიგელზე; მის გადაცემაზე უარის თქმა წარმოადგენს ამ უფლების აშკარა დარღვევას, რასთან დაკავშირებითაც მისი ქვეყნის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მას სამართლებრივი დაცვის საშუალებით.

გასარკვევი რჩება,

მესამე, აქვს თუ არა მას უფლება, ისარგებლოს იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებით, რომელსაც ითხოვს. ეს დამოკიდებულია

პირველი, მოთხოვნილი სასამართლო ბრძანების სახეობაზე და

მეორე, ამ სასამართლოს უფლებამოსილებაზე.

პირველი, სასამართლო ბრძანების სახეობა.



ბლექსტოუნის თავისი კომენტარების მე-3 ტომში, გვ. 110, მანდამუსს განსაზღვრავს როგორც „სამეფო ტახტის სასამართლოს მიერ მეფის სახელით ნებისმიერი პირის, კორპორაციისა თუ ქვემდგომი სასამართლოსადმი გაცემულ ბრძანებას, რომელიც ავალებს მათ მასში მითითებული კონკრეტული მოქმედების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია მათ თანამდებობასა და მოვალეობასთან და რომელიც სასამართლომ მანამდე დაადგინა ან, სულ მცირე, ივარაუდა, რომ შეესაბამება სიკეთისა და სამართლიანობის პრინციპს“.

ლორდი მენსფილდი საქმეში „მეფე ბეიკერის წინააღმდეგ“, 3d Burrows 1266, დიდი სიზუსტით და მკაფიოდ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება ამ სასამართლო ბრძანების გამოყენება.

როგორც ეს ძალზე კომპეტენტური მოსამართლე აღნიშნავს, „ყოველთვის, როდესაც არსებობს თანამდებობის შესრულების, მომსახურების განხორციელების ან განსაკუთრებული უფლებამოსილების განხორციელების უფლება (განსაკუთრებით, თუ ის უკავშირდება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს ან მოგების მიღებას) და პირს ეზღუდება ან ერთმევა ასეთი უფლება და, ამავდროულად, მას რაიმე სხვა კონკრეტული სამართლებრივი დაცვის საშუალება არ გააჩნია, ამ სასამართლომ უნდა გაუწიოს მას დახმარება მანდამუსის მეშვეობით სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც მითითებულია ბრძანებაში, და ასევე საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, მშვიდობის, წესრიგისა და კარგი მმართველობის შენარჩუნების მიზნით.“ იმავე საქმეში ის ამბობს: „ეს ბრძანება უნდა იქნეს გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი არ ადგენს სამართლებრივი დაცვის რაიმე კონკრეტულ საშუალებას და როდესაც სამართლიანობისა და კარგი მმართველობის პირობებში ის უნდა არსებობდეს“.

განსაკუთრებულად ხსენებული წყაროების გარდა, სასამართლო პროცესზე ბევრი სხვა წყაროც იქნა მოყვანილი, რომლებიც აჩვენებდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს პრაქტიკა ახლახან ციტირებულ ზოგად დოქტრინებს.

ეს ბრძანება, მისი გამოცემის შემთხვევაში, განკუთვნილი იქნებოდა სამთავრობო მოხელისთვის და დაავალდებულებდა მას, ბლექსტოუნის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „შეასრულოს მასში მითითებული კონკრეტული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მის თანამდებობასა და მოვალეობასთან და რომელიც სასამართლომ მანამდე დაადგინა ან, სულ მცირე, ივარაუდა, რომ შეესაბამება სიკეთისა და სამართლიანობის პრინციპს“. ანუ, ლორდი მენსფილდის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელეს ამ შემთხვევაში აქვს უფლება, შეასრულოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი ფუნქცია, მაგრამ მას ართმევენ ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნული გარემოება უდავოდ ემთხვევა ამ საქმის გარემოებას.

თუმცა იმისთვის, რომ მანდამუსი სამართლებრივი დაცვის სათანადო საშუალებ-

ად იქცეს, მოხელე, უნდა იყოს ამავდროულად პირი, რომელზედაც სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, ასეთი ბრძანება შეიძლება იქნეს გაცემული; ხოლო პირს, რომელიც მის გაცემას ითხოვს, არ უნდა გააჩნდეს სხვა კონკრეტული და სამართლებრივი დაცვის საშუალება.

პირველი, იმ მოხელესთან დაკავშირებით, რომელზედაც ის გაიცემა. ის ახლო პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს შორის არსებობს, აუცილებლად ხდის ერთ-ერთი ამ მაღალი თანამდებობის პირის ქმედებებთან დაკავშირებული საქმის გამომიებას განსაკუთრებით მომაბეზრებელს და, ასევე, დელიკატურს; აგრეთვე ბადებს გარკვეულ ეჭვს ასეთი გამომიების დაწყების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. შთაბეჭდილება ხშირად იქმნება ღრმა გააზრებისა თუ შესწავლის გარეშე და გასაკვირი არ არის, რომ მსგავს შემთხვევაში პირის მიერ საკუთარი სამართლებრივი მოთხოვნების სასამართლოში დაცვა, რომლებსაც სასამართლო ვალდებულია, მიაქციოს ყურადღება, ერთი შეხედვით შეიძლება ჩათვალოს მთავრობაში შეჭრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაში ჩარევის მცდელობად.

სასამართლოს ნამდვილად არ უღირს, რომ უარი თქვას ყველა პრეტენზიაზე ასეთ იურისდიქციაზე. ასეთ აბსურდულ და დიდ უკიდურესობას ერთი წამითაც კი ვერ დავუშვებდით. სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ პირების უფლებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება და არა იმის მოკვლევა, თუ როგორ ასრულებენ აღმასრულებელი ხელისუფლება თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელეები იმ მოვალეობებს, რომლებთან დაკავშირებითაც მათ აქვთ დისკრეციული უფლება. საკითხები, რომლებიც თავისი ბუნებით არის პოლიტიკური ან რომლებიც, კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას მიეკუთვნება, ამ სასამართლოში ვერასოდეს განიხილება.

მაგრამ, თუ ეს არ არის ასეთი საკითხი, თუ ეს არ არის მთავრობის საიდუმლოების ხელყოფა და ეხება დოკუმენტს, რომელიც კანონის შესაბამისად არის დარეგისტრირებული და რომლის ასლის მიღების უფლებასაც ითვალისწინებს კანონი ათი ცენტის გადახდის შემთხვევაში, თუ ეს არ არის იმ საკითხში ჩარევა, რომელთან დაკავშირებითაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს კონტროლს, მაშინ რა არის ისეთი მოხელის მაღალ თანამდებობაში, რაც მოქალაქეს აუკრძალავს სასამართლოში თავისი კანონიერი უფლებების დაცვას ან სასამართლოს შეუშლის ხელს სარჩელის განხილვაში ან მანდამუსის გაცემაში, რომელიც პირს დაავალდებულებს, შეასრულოს მოვალეობა, რომელიც ეფუძნება არა აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციას, არამედ კონგრესის კონკრეტულ აქტებსა და სამართლის ზოგად პრინციპებს?



თუ დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩაიდენს უკანონო ქმედებას თავისი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების საბაზით, რის შედეგადაც პირს მიადგება ზიანი, თავს ვერ მოვიტყუებთ იმის ფიქრით, რომ მხოლოდ მისი თანამდებობა ათავისუფლებს მას სასამართლო დევნისგან სამართალწარმოების ჩვეულებრივ რეჟიმში და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან. მაშინ როგორ გაათავისუფლებს მას მისი თანამდებობა მისი ქმედების კანონიერების საკითხის გადაწყვეტის ამ კონკრეტული რეჟიმისგან, თუ ეს საქმე წარმოადგენს ისეთ საქმეს, რომელიც, თუ ნებისმიერი სხვა პირი იქნებოდა მხარე, რომელსაც უჩივიან, მოითხოვდა ამ პროცესის განხორციელებას?

მანდამუსის გაცემის მიზანშეწონილობა ან უმართებულობა უნდა განისაზღვროს არა იმ პირის თანამდებობით, რომლის მიმართაც გამოიცემა სასამართლოს ბრძანება, არამედ შესასრულებელი მოქმედების ხასიათით. თუ დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოქმედებს ისეთ საქმეში, სადაც უნდა განხორციელდეს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციული უფლება ან სადაც ის არის მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ნების გამომხატველი ორგანო, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სასამართლოში შეტანილი ნებისმიერი განცხადება მისი ქცევის გაკონტროლების მოთხოვნით ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იქნება უარყოფილი.

მაგრამ, თუ მას კანონით ევალება გარკვეული მოქმედების შესრულება, რომელიც ეხება პირთა აბსოლუტურ უფლებებს და რომლის შესრულების დროსაც ის არ ემორჩილება პრეზიდენტის კონკრეტულ მითითებას და რომლის შესრულებაც პრეზიდენტს არ შეუძლია კანონიერად აკრძალოს და, შესაბამისად, ვერასოდეს ჩაითვლება აკრძალულად – მაგალითად, რწმუნებათა სიგელის ან მიწის პატენტის რეგისტრაცია, რომელმაც გაიარა ყველა კანონიერი ფორმალური პროცედურა, ან ამ რეგისტრაციის ჩანაწერის ასლის გაცემა – ასეთ შემთხვევებში გაუგებარია, რა საფუძვლით თავისუფლებებიან ქვეყნის სასამართლოები გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებისგან, რომ მართლმსაჯულება განხორციელდეს დაზარალებული პირის სასარგებლოდ, როგორც იმ შემთხვევაში, თუ იმავე მომსახურებას შეასრულებდა პირი, რომელიც არ არის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მსგავსი დასკვნა ამ ქვეყანაში პირველად არ გამოტანილა.

კარგად გვახსოვს, რომ 1792 წელს მიიღეს აქტი, რომლის თანახმადაც სამხედრო მდივანს საპენსიო სიაში უნდა შეეყვანა ის ინვალიდი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთა შესახებაც მისთვის საოლქო სასამართლოებს უნდა წარედგინათ ანგარიში, და ეს მოქმედება, რამდენადაც აღნიშნული მოვალეობა სასამართლოებს დაეკისრა, არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული; მაგრამ ზოგიერთი მოსამარ-

თლე ფიქრობდა, რომ მათ შეეძლოთ აღესრულათ კანონი კომისრების რანგში, და ამ რანგში განაგრძობდა მოქმედებას და ანგარიშების წარდგენას.

ეს კანონი, რომელიც საოლქო სასამართლოებმა არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს, გაუქმდა და შეიქმნა განსხვავებული სისტემა; მაგრამ ჰქონდათ თუ არა იმ პირებს, რომლებზეც მოსამართლეებმა, როგორც კომისრებმა, წარადგინეს ანგარიშები, ამ ანგარიშების შედეგად უფლება, შეყვანილი ყოფილიყვნენ საპენსიო სიაში, არის იურიდიული ხასიათის საკითხი, რომელსაც, როგორც წესი, წყვეტს სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ ამ პირების სიაში შეყვანის აქტი უნდა განეხორციელებინა დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

ამ საკითხის სათანადოდ მოგვარების მიზნით კონგრესმა 1793 წლის თებერვალში მიიღო აქტი, რომლითაც, გენერალურ პროკურორთან ერთად, სამხედრო მდივანს დაევალა ისეთი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული აქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ასეთი უფლების ნამდვილობის შესახებ შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მოსაპოვებლად.

აღნიშნული აქტის მიღების შემდეგ სასამართლოში შევიდა შუამდგომლობა სამხედრო მდივანის მიმართ მანდამუსის გაცემის თაობაზე, რომელიც მას უბრძანებდა საპენსიო სიაში იმ პირის შეყვანას, რომელიც, როგორც ის ამტკიცებდა, მოხსენიებული იყო მოსამართლეთა ანგარიშში.

აქედან გამომდინარე, არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მომჩივნის კანონიერი უფლების შემოწმების ეს მეთოდი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლო თანამდებობის პირმა ამ მიზნებისთვის ყველაზე შესაფერისად მიიჩნიეს.

როდესაც საქმე გადაეცა სასამართლოს, გამოტანილი გადაწყვეტილება ეხებოდა არა იმას, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართ არ უნდა გაცემულიყო მანდამუსი, რომელიც მას დაავალდებულებდა კანონით დაკისრებული მოქმედების შესრულებას, რომლის მიმართაც პირს ჰქონდა კანონიერი ინტერესი, არამედ ის, რომ ამ საქმეში მანდამუსი არ უნდა გამოცემულიყო. ეს იყო გადაწყვეტილება, რომლის გამოტანაც აუცილებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ კომისრების ანგარიშით მომჩივანს არ გადაეცემოდა კანონიერი უფლება.

აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით არსებითად გადაწყდა მსგავსი შინაარსის ყველა მოთხოვნა. თავიანთი თავის საპენსიო სიაში შეყვანის მიზნით, კომისრების ანგარიშში მითითებულმა პირებმა საჭიროდ ჩათვალეს იმ კანონით დადგენილი წესის გამოყენება, რომელიც მიღებული იქნა წინა კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ.

ამრიგად, ახლა წარმოდგენილი დოქტრინა ახალი სულაც არ არის.



უნდა ითქვას, რომ მანდამუსი, რომლის გაცემაც მოთხოვნილია შუამდგომლობით, არ ეხება კანონით ცალსახად დაკისრებული მოქმედების შესრულებას.

ის ეხება რწმუნებათა სიგელის გადაცემას, რის შესახებაც კონგრესის აქტებში არაფერია ნათქვამი. ეს განსხვავება საქმეზე გავლენას არ ახდენს. როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანს ამ რწმუნებათა სიგელთან მიმართებით აქვს კანონიერი უფლება, რომელსაც მას აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ ჩამოართმევს. ის დაინიშნა თანამდებობაზე, რომლიდანაც განთავისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ნებით არ ხდება; ხოლო, როგორც ამგვარად დანიშნულ პირს, მას აქვს უფლება რწმუნებათა სიგელზე, რომელიც მდივანმა მიიღო პრეზიდენტისგან მის მიერ გამოსაყენებლად. კონგრესის აქტი სინამდვილეში არ ავალდებულებს სახელმწიფო მდივანს, რომ გაუგზავნოს მას რწმუნებათა სიგელი, მაგრამ რწმუნებათა სიგელი სახელმწიფო მდივანს გადაეცემა იმ პირისთვის, რომელსაც აქვს მასზე უფლება და სახელმწიფო მდივანის უარი მის გადაცემაზე ვერ იქნება უფრო კანონიერი, ვიდრე ნებისმიერი სხვა პირისა.

თავიდან გაჩნდა ეჭვი, ხომ არ იქნებოდა რწმუნებათა სიგელის შემთხვევაში, რომლის გადაცემაზეც ბ-ნ მარბერის ეთქვა უარი, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან დაკავშირებული სარჩელი სამართლებრივი დაცვის შესაფერისი საშუალება. ასეთ შემთხვევაში კი მანდამუსი არ გაიცემა. მაგრამ ეს ეჭვი შეიცვალა მოსაზრებით, რომ გადაწყვეტილება სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების საქმეზე ეხება უშუალოდ ნივთს ან მის ღირებულებას. შეუძლებელია იმ სახელმწიფო თანამდებობის ღირებულების დადგენა, რომელიც არ ექვემდებარება გაყიდვას, მოსარჩელეს კი უფლება აქვს მხოლოდ თანამდებობაზე. ის მიიღებს თანამდებობას რწმუნებათა სიგელის ან ჩანაწერიდან მისი ასლის მიღებით.

ამგვარად, ეს არის მანდამუსის გაცემასთან დაკავშირებული ნათელი საქმე: უნდა მოხდეს ან რწმუნებათა სიგელის, ან ჩანაწერიდან მისი ასლის გადაცემა. საჭიროა მხოლოდ იმის გამორკვევა, შეუძლია თუ არა მანდამუსის გამოცემა ამ სასამართლოს.

შეერთებული შტატების სასამართლოების შექმნის შესახებ აქტი უზენაეს სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, „გამოსცეს მანდამუსები სამართლის პრინციპებითა და პრაქტიკით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეერთებული შტატების ნებართვით დანიშნული ნებისმიერი სასამართლოს ან თანამდებობის პირის მიმართ.“

სახელმწიფო მდივანი, როგორც პირი, რომელსაც უკავია თანამდებობა შეერთებული შტატების ნებართვით, ზუსტად შეესაბამება ამ აღწერას, ხოლო, თუ ეს სასამართლო არაა უფლებამოსილი, გასცეს მანდამუსი ასეთი თანამდებობის პირის მიმართ, ეს იმიტომაც, რომ კანონი არაკონსტიტუციურია და, შესაბამისად, ის აბ-

სოლუტურად უუნაროა, მიანიჭოს უფლებამოსილება და დააკისროს მოვალეობები, რომელთა მინიჭებასა და დაკისრებას ითვალისწინებს მისი ფორმულირება.

კონსტიტუცია შეერთებული შტატების მთელ სასამართლო უფლებამოსილებას ანიჭებს ერთ უზენაეს სასამართლოს და ისეთ ქვემდგომ სასამართლოებს, რომლებსაც კონგრესი დროდადრო განსაზღვრავს და ჩამოაყალიბებს. აღნიშნული უფლებამოსილება პირდაპირ ვრცელდება ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც გამომდინარეობს შეერთებული შტატების კანონმდებლობიდან, და, შესაბამისად, გარკვეული ფორმით შეიძლება განხორციელდეს წინამდებარე საქმესთან მიმართებით, ვინაიდან მოთხოვნილ უფლებას ანიჭებს შეერთებული შტატების კანონი.

ამ უფლებამოსილების განაწილებისას გაცხადებულია, რომ „უზენაეს სასამართლოს აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია ყველა საქმესთან მიმართებით, რომლებიც ეხება ელჩებს, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებსა და კონსულებს, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებშიც სახელმწიფო წარმოადგენს მხარეს. ყველა სხვა საქმესთან მიმართებით უზენაეს სასამართლოს აქვს სააპელაციო იურისდიქცია“.

სასამართლო სხდომაზე ამტკიცებდნენ, რომ უზენაესი სასამართლოსა და ქვემდგომი სასამართლოებისთვის იურისდიქციის თავდაპირველი მინიჭება ზოგადი ხასიათისაა და რომ ის მუხლი, რომლითაც უზენაეს სასამართლოს ენიჭება პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია, არ შეიცავს უარყოფით ან შემზღვეველ ფორმულირებას; საკანონმდებლო ორგანო იტოვებს უფლებას, ამ სასამართლოს მიანიჭოს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია სხვა შემთხვევებში, გარდა იმ მუხლში განსაზღვრულისა, რომელიც იქნა ციტირებული, იმ პირობით, რომ ეს საქმეები განეკუთვნება შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლებას.

თუ მიზანი იქნებოდა ის, რომ საკანონმდებლო ორგანოსთვის დაეტოვებინათ უზენაეს სასამართლოსა და ქვემდგომ სასამართლოებს შორის სასამართლო უფლებამოსილების მისი სურვილისამებრ განაწილების თავისუფლება, რა თქმა უნდა, აზრს მოკლებული იქნებოდა იმაზე შორს წასვლა, ვიდრე სასამართლო უფლებამოსილებების განსაზღვრა და იმ სასამართლოების დადგენა, რომლებსთვისაც უნდა მიენიჭათ ისინი. მუხლის მომდევნო ნაწილი უბრალოდ ზედმეტია, სრულიად მოკლებულია აზრს, თუ ასეთი უნდა იყოს მისი ინტერპრეტაცია. თუ კონგრესს რჩება უფლება, ამ სასამართლოს მიანიჭოს სააპელაციო იურისდიქცია იმ შემთხვევებში, როდესაც, კონსტიტუციის თანახმად, მისი იურისდიქცია არის პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია – იმ შემთხვევებში, როდესაც, კონსტიტუციის თანახმად, ის სააპელაციოა, მაშინ იურისდიქციის განაწილება, როგორც ეს მოცემულია კონსტიტუციაში, წარმოადგენს ფორმას შინაარსის გარეშე.



მტკიცებითი სიტყვები ხშირად, თავისი მოქმედებით, დადებითთან ერთად უარყოფითიცაა ობიექტებთან მიმართებით და ამ შემთხვევაში მათ უნდა მივანიჭოთ უარყოფითი ან შემზღვეველი მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საერთოდ არ ექნება ძალა.

იმას ვერ ვივარაუდებთ, რომ, ჩანაფიქრის თანახმად, კონსტიტუციის რომელიმე მუხლს ძალა არ უნდა ჰქონოდა. შესაბამისად, ასეთი ინტერპრეტაცია დაუშვებელია, თუ ამას არ მოითხოვს კონსტიტუციის ფორმულირება.

თუ იმ კონვენციის ინტერესის საგნიდან გამომდინარე, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან, წარმოიშობოდა დებულების მიღების საჭიროება იმის შესახებ, რომ უზენაეს სასამართლოს უნდა მიენიჭოს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია იმ საქმეებში, რომლებიც მათ შეეხებოდა, ეს მუხლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ასეთი შემთხვევების განსაზღვრით, თუ მისი მიზანი არ იქნებოდა კონგრესის უფლებამოსილებების შემდგომი შეზღუდვა. ის, რომ უზენაეს სასამართლოს ყველა სხვა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს სააპელაციო იურისდიქცია, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც შეიძლება კონგრესმა დაადგინოს, არ წარმოადგენს შეზღუდვას, თუ დებულების ფორმულირება არ გამორიცხავდა პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციას.

როდესაც დოკუმენტი, რომელიც საფუძვლიანად აყალიბებს სასამართლო სისტემას, ყოფს მას ერთ უზენაეს სასამართლოდ და იმდენ ქვემდგომ სასამართლოდ, რამდენიც საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს, შემდეგ ჩამოთვლის მის უფლებამოსილებებს და ანაწილებს მათ, რათა განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს იურისდიქცია იმ შემთხვევების მითითებით, როდესაც ის განახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციას, და იმის დადგენით, რომ სხვა შემთხვევებში ის განახორციელებს სააპელაციო იურისდიქციას, ასეთი ფორმულირების არსი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ საქმეთა ერთ კატეგორიასთან მიმართებით მისი იურისდიქცია არის პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია და არა სააპელაციო, დანარჩენ საქმეებთან მიმართებით კი – სააპელაციო და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია. თუ ამ მუხლის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მას ძალის არმქონედ გახდიდა, ეს იქნებოდა ამ ინტერპრეტაციის უარყოფისა და მუხლის აშკარა მნიშვნელობის შენარჩუნების კიდევ ერთი მიზეზი.

ამრიგად, იმისთვის, რომ ამ სასამართლომ შეეძლოს მანდამუსის გამოცემა, უნდა დამტკიცდეს, რომ ეს არის სააპელაციო იურისდიქციის განხორციელება, ან აუცილებელია იმისთვის, რომ მან შეძლოს სააპელაციო იურისდიქციის განხორციელება.

როგორც სასამართლოს სხდომაზე აღინიშნა, სააპელაციო იურისდიქცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით და, თუ საკანონმდებლო ორგანოს სურ-

ვილი იქნება, რომ ამ მიზნისთვის მანდამუსი უნდა იქნეს გამოყენებული, მისი ნება უნდა აღსრულდეს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს უნდა იყოს სააპელაციო და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია.

სააპელაციო იურისდიქციის არსებითი კრიტერიუმი არის ის, რომ სასამართლომ უნდა გადასინჯოს და გამოასწოროს სამართალწარმოება უკვე დაწყებულ საქმეზე და არ შექმნას ეს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში მანდამუსი შეიძლება გამოიცეს სასამართლოს მიმართ, მოხელის მიმართ დოკუმენტის გადაცემის შესახებ ასეთი ბრძანების გამოცემა, ფაქტობრივად, იგივეა, რაც ამ დოკუმენტთან დაკავშირებით თავდაპირველი სარჩელის მხარდაჭერა და, შესაბამისად, განეკუთვნება არა სააპელაციო, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციას. ისეთ საქმეში, როგორცაა მოცემული საქმე, არც ის არის საჭირო, რომ სასამართლოს შეეძლოს სააპელაციო იურისდიქციის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოსთვის შეერთებული შტატების სასამართლოების შექმნის შესახებ აქტით მინიჭებული უფლებამოსილება, გამოსცეს მანდამუსები საჯარო მოხელეების მიმართ, როგორც ირკვევა, კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული და საჭირო ხდება იმის დადგენა, შესაძლებელია თუ არა ამგვარად მინიჭებული იურისდიქციის განხორციელება.

* * *

შეიძლება თუ არა აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, გახდეს ქვეყნის კანონი – ეს ის საკითხია, რომელიც შეერთებული შტატებისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, თუმცა, საბედნიეროდ, ის არ არის მათი ინტერესის პროპორციული სირთულის. როგორც ჩანს, მის გადასაჭრელად საჭიროა გარკვეული პრინციპების აღიარება, რომლებიც დიდი ხანია და მტკიცედ არის დამკვიდრებული.

ის ფაქტი, რომ ხალხს აქვს თავდაპირველი უფლება, თავისი მომავალი მთავრობისთვის შექმნას ისეთი პრინციპები, რომლებიც, მისი შეხედულებით, საუკეთესოდ შეუწყობს ხელს საკუთარ ბედნიერებას, წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც აგებულია მთელი ამერიკული სისტემა. ამ თავდაპირველი უფლების განხორციელება მოითხოვს ძალიან დიდ ძალისხმევას; ის არ შეიძლება და არც უნდა განმეორდეს ხშირად. შესაბამისად, ამგვარად ჩამოყალიბებული პრინციპები ითვლება ფუნდამენტურად. ხოლო, ვინაიდან ხელისუფლება, რომლიდანაც ისინი მომდინარეობს, არის უმაღლესი და მას იშვიათად შეუძლია მოქმედება, ისინი შექმნილია იმ ჩანაფიქრით, რომ უნდა იყოს მუდმივი.

ეს თავდაპირველი და უზენაესი ნება აყალიბებს მთავრობას და სხვადასხვა დეპარტამენტს აკუთვნებს შესაბამის უფლებამოსილებებს. ის შეიძლება ამით შემოიფარგლოს ან დააწესოს გარკვეული საზღვრები, რომლებსაც ეს დეპარტამენტები არ უნდა გაცდნენ.



შეერთებული შტატების მთავრობა შეესაბამება მეორე აღწერას. საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებები განსაზღვრულია და საზღვრებშია მოქცეული. იმისთვის, რომ ეს საზღვრები არ იქნეს არასწორად გაგებული ან დავიწყებული, იწერება კონსტიტუცია. რა მიზნით იზღუდება უფლებამოსილებები და რა მიზნით არის ეს შეზღუდვა წერილობითი ფორმით განმტკიცებული, თუ ამ საზღვრების დარღვევა ნებისმიერ დროს შეუძლიათ მათ, ვისთვისაც იყო ჩაფიქრებული? განსხვავება შეზღუდული და შეუზღუდავი უფლებამოსილებების მქონე მთავრობებს შორის ბათილდება, თუ ეს შეზღუდვები არ ზღუდავს მათ, ვისთვისაც არის დაწესებული, და თუ აკრძალული ქმედებები და ნებადართული ქმედებები ერთნაირ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ეს მეტისმეტად ცხადი მტკიცებაა იმისთვის, რომ ვინმემ სადავოდ გახადოს ის ფაქტი, რომ კონსტიტუცია აკონტროლებს ნებისმიერ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მას ეწინააღმდეგება, ან რომ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია კონსტიტუციის ჩვეულებრივი აქტით შეცვლა.

ამ ალტერნატივებს შორის ოქროს შუალედი არ არსებობს. კონსტიტუცია არის ან უმაღლესი, უმთავრესი კანონი, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას ჩვეულებრივი საშუალებებით, ან ის იმავე დონეზეა, რაც ჩვეულებრივი საკანონმდებლო აქტები, და, სხვა აქტების მსგავსად, ექვემდებარება ცვლილებას, როცა საკანონმდებლო ორგანო მოისურვებს მის შეცვლას.

თუ ამ ალტერნატივის პირველი ნაწილი ჭეშმარიტებაა, მაშინ საკანონმდებლო აქტი, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, კანონი არ არის, ხოლო, თუ მეორე ნაწილია ჭეშმარიტება, მაშინ დაწერილი კონსტიტუციები ხალხის მხრიდან იმ ძალაუფლების შეზღუდვის აბსურდულ მცდელობას წარმოადგენს, რომელიც თავისი ბუნებით შეუზღუდველია.

რა თქმა უნდა, ყველა, ვისაც დაწერილი კონსტიტუცია შეუქმნია, მას ხალხის ძირითად და უმთავრეს კანონად მიიჩნევს და, შესაბამისად, ყოველი ასეთი მთავრობის თეორია იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას.

ეს თეორია არსებითად უკავშირდება დაწერილ კონსტიტუციას და, შესაბამისად, ამ სასამართლომ ის ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად უნდა მიიჩნიოს. ამიტომ, ამ საკითხის შემდგომი განხილვისას ეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

თუ საკანონმდებლო ორგანოს ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას, მისი ბათილობის მიუხედავად, სავალდებულოა თუ არა სასამართლოებისთვის მისი დაცვა და ავალდებულებს თუ არა ის სასამართლოებს მის აღსრულებას? ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ის კანონი არ არის, წარმოადგენს თუ

არა ის ნორმას, რომელსაც ისეთივე ძალა აქვს, როგორც კანონს? ეს პრაქტიკაში იქნებოდა იმის განადგურება, რაც თეორიაში იქნა დადგენილი, და, ერთი შეხედვით, შეიძლება მეტისმეტად აბსურდულად მოგვეჩვენოს იმისთვის, რომ დაბეჯითებით ვამტკიცოთ. თუმცა, ეს საკითხი იმსახურებს მეტი გულისყურით განხილვას.

იმის თქმა, თუ რა არის კანონი, უდავოდ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას და მოვალეობას. მათ, ვინც ამ ნორმას იყენებს კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში უნდა განმარტონ ის და მოახდინონ მისი ინტერპრეტაცია. თუ ორი კანონი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, სასამართლოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თითოეული მათგანის მოქმედების შესახებ.

ამრიგად, თუ კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, თუ კანონიც და კონსტიტუციაც გამოიყენება ერთ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, ასე რომ სასამართლომ ან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე კანონის შესაბამისად და კონსტიტუციის უგულვებელყოფით, ან კონსტიტუციის შესაბამისად და კანონის უგულვებელყოფით, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ამ წინააღმდეგობრივი ნორმებიდან რომელი არეგულირებს აღნიშნულ საქმეს. სწორედ ამაში მდგომარეობს სასამართლოს მოვალეობის არსი.

თუ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუცია, კონსტიტუცია კი საკანონმდებლო ორგანოს ნებისმიერ ჩვეულებრივ აქტზე ძალა დგას, კონსტიტუცია, და არა ეს ჩვეულებრივი აქტი, უნდა არეგულირებდეს იმ საქმეს, რომლის მიმართაც ორივე მათგანი გამოიყენება. ამგვარად, მათ, ვინც უარყოფს პრინციპს, რომ სასამართლო კონსტიტუციას უმთავრეს კანონად უნდა მიიჩნევდეს, ისღა დარჩენიათ, ამტკიცონ, რომ სასამართლოები უნდა ხუჭავდნენ თვალს კონსტიტუციაზე და მხოლოდ კანონს ხედავდნენ.

ეს დოქტრინა ერთიანად შეარყევდა ყველა დაწერილი კონსტიტუციის საფუძველთა საფუძველს. ის აღიარებდა, რომ აქტი, რომელიც, ჩვენი მთავრობის პრინციპებისა და თეორიის მიხედვით, სრულიად მოკლებულია იურიდიულ ძალას, პრაქტიკაში სავსებით სავალდებულო ხასიათისაა. ის აღიარებდა, რომ, თუ საკანონმდებლო ორგანო გააკეთებს იმას, რაც ცალსახად აკრძალულია, ასეთი აქტი, პირდაპირი აკრძალვის მიუხედავად, ფაქტობრივად, ძალის მქონეა. ის საკანონმდებლო ორგანოს მისცემდა პრაქტიკულ და რეალურ აბსოლუტურ ძალაუფლებას და იმავდროულად განაცხადებდა, რომ მის უფლებამოსილებებს ვიწრო ჩარჩოებში აქცევს. ის აწესებს შეზღუდვებს და იქვე აცხადებს, რომ ეს შეზღუდვები, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება დაირღვეს.

ის ფაქტი, რომ ამით ის არარაობად აქცევს იმას, რაც ჩვენ მიგვაჩნია პოლიტიკური ინსტიტუტების უდიდეს სრულყოფად, ანუ დაწერილ კონსტიტუციას, ამ-

ერიკაში, სადაც წერილობით კონსტიტუციებს ასეთი დიდი მოწიწებით ეკიდებიან, თავისთავად საკმარისი იქნებოდა ამ ინტერპრეტაციის უარსაყოფად. მაგრამ შეერთებული შტატების კონსტიტუციის თავისებური ფორმულირებები დამატებით არგუმენტებს იძლევა მისი უარყოფის სასარგებლოდ.

შეერთებული შტატების სასამართლო უფლებამოსილება ვრცელდება ყველა იმ საქმეზე, რომელიც წარმოიშობა კონსტიტუციასთან მიმართებით.

შესაძლებელია თუ არა მათი მიზანი, ვინც ამ უფლებამოსილებას ანიჭებს, ყოფილიყო იმის გადმოცემა, რომ ამ უფლებამოსილების გამოყენებისას კონსტიტუციაში ჩახედვა საჭირო არ არის? და რომ კონსტიტუციასთან მიმართებით წარმოშობილი საქმე უნდა გადაწყდეს იმ დოკუმენტის შეუსწავლელად, რომელთან მიმართებითაც ის წარმოიშვა?

ამის მხარდაჭერა მეტისმეტად უცნაური იქნებოდა.

მამინ, ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტიტუციას მოსამართლეები მიმართავენ. და თუ მათ საერთოდ შეეძლება კონსტიტუციის გადაშლა, მისი რომელი ნაწილის წაკითხვა ან დაცვა აკრძალვებთ მათ?

კონსტიტუციაში ბევრი სხვა ნაწილია, რომლებიც ემსახურება ამ საკითხის ილუსტრირებას.

მასში წერია, რომ „აკრძალვებია ნებისმიერი სახელმწიფოდან შემოტანილ საქონელზე გადასახადის ან ბაჟის დაწესება“. ვთქვათ, ბამბის, თამბაქოს ან ფქვილის ექსპორტზე დაწესებულია ბაჟი და მის დასაბრუნებლად აღძრულია სარჩელი. ამ შემთხვევაში უნდა იქნეს თუ არა გამოტანილი გადაწყვეტილება? უნდა დახუჭონ თუ არა თვალი კონსტიტუციაზე მოსამართლეებმა და მხოლოდ კანონი დაინახონ?

კონსტიტუცია ადგენს, რომ „აკრძალულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის სამოქალაქო და ქონებრივი უფლებების ჩამორთმევის შესახებ კანონის ან უკუქმედებითი ძალის მექონე კანონის მიღება“.

თუ ასეთ კანონს მაინც მიიღებენ და პირის წინააღმდეგ მის საფუძველზე აღძრავენ საქმეს, უნდა მიუსაჯოს თუ არა სასამართლომ სიკვდილი იმ პირებს, რომელთა დაცვასაც ცდილობს კონსტიტუცია?

კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ „არავინ შეიძლება იქნეს დადანიშნული სახელმწიფო ღალატში, თუ არ არსებობს ორი მოწმის ჩვენება, რომელიც ადასტურებს აშკარა ქმედებას, ან თუ პირს დანიშნული არ უღიარებია ღია სასამართლო სხდომაზე“. აქ კონსტიტუციის ფორმულირება კონკრეტულად სასამართლოებისადმი არის მიმართული. ის უშუალოდ მათთვის განსაზღვრავს მტკიცებულებათა მოპოვების წესს, რომლიდანაც გადახვევა არ შეიძლება. თუ საკანონმდებლო ორგანო ამ წესს შეცვლის და დაადგენს, რომ ერთი მოწმის ჩვენება ან დანიშნულის

ადიარება სასამართლოს გარეთ საკმარისია მსჯავრის დასადავად, უნდა დაუთმოს თუ არა კონსტიტუციურმა პრინციპმა საკანონმდებლო აქტს?

ამ და მრავალი სხვა მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ კონსტიტუციის შემქმნელები აპირებდნენ ამ დოკუმენტის როგორც სასამართლოების, ისე საკანონმდებლო ორგანოს მართვის წესად გამოყენებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ მოითხოვს ის მოსამართლეებისგან მისი დაცვის შესახებ ფიცის დადებას? ეს ფიცი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ეხება მათ ქცევას ოფიციალურ რანგში. როგორი უზნეობაა მათთვის ამის დაწესება, თუ ჩაფიქრებული ჰქონდათ მათი ინსტრუმენტებად გამოყენება, თანაც წინასწარგანზრახულ ინსტრუმენტებად, იმის დასარღვევად, რისი დაცვის ფიცსაც დებენ!

გარდა ამისა, საკანონმდებლო ორგანოს მიერ თანამდებობის დასაკავებლად დაწესებული ფიცი სრულად წარმოაჩენს საკანონმდებლო ორგანოს მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს გამოხატულია ამ სიტყვებში: „საზეიმოდ ვფიცავ, რომ განვახორციელებ მართლმსაჯულებას ხალხისთვის ყოველგვარი განსხვავების გარეშე და თანაბრად უზრუნველვყოფ სამართლიანობას როგორც ღარიბებისთვის, ისე მდიდრებისთვის; და რომ კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად შევასრულებ ჩემზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას საკუთარი შესაძლებლობებისა და გაგების ფარგლებში, შეერთებული შტატების კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.“

რატომ დებს მოსამართლე ფიცს, რომ შეასრულებს თავის მოვალეობებს შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესაბამისად, თუ ეს კონსტიტუცია არ აყალიბებს წესს მისი ხელისუფლებისთვის? თუ ის დახურულია მისთვის და თუ მოსამართლეს არ შეუძლია მისი შესწავლა?

თუ რეალური მდგომარეობა ასეთია, მაშინ ეს მასხრად აგდებაზე უარესია. ამ ფიცის დადების დაწესება, ისევე როგორც მისი დადება, თანაბრად იქცევა დანაშაულად.

უადგილო არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ქვეყნის უზენაესი კანონის გამოცხადებისას პირველ რიგში ნახსენებია კონსტიტუცია, ხოლო ამ კატეგორიას მიეკუთვნება არა ზოგადად შეერთებული შტატების კანონები, არამედ მხოლოდ ის კანონები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის განსახორციელებლად.

ამრიგად, შეერთებული შტატების კონსტიტუციის კონკრეტული ფორმულირება ადასტურებს და განამტკიცებს პრინციპს – რომელიც ძირითად პრინციპად მიიჩნევა ყველა დაწერილი კონსტიტუციისთვის – რომ კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იურიდიული ძალა არ გააჩნია, ხოლო სასამართლოები და ასევე სხვა უწყებები ვალდებული არიან, დაიცვან კონსტიტუცია.

ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს.